

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



მარიამ ერაძე

**ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის აქტუალური საკითხები
სს "გეფას" და შპს „იმპექსფარმის“ მაგალითზე**

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

იზოლდა ჭილაძე

თბილისი - 2020

ანოტაცია

კომპანიის განვითარებისათვის აუცილებელია, მიმდინარეობდეს ფულადი სახსრების კონტროლი, აღნიშნული პროცესის ეფექტიანი წარმართვა კი ხელმძღვანელობას აძლევს საშუალებას, თავიდან აიცილოს ფულის დეფიციტი. სწორედ ფულადი სახსრები წარმოადგენს კომპანიის გადახდისუნარიანობის, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და საგადასახადო ვალდებულების დროულად დაფარვის ძირითად რესურსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი აქტუალური საკითხია ნებისმიერი ბიზნეს ერთეულისა და ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლებისთვის.

საანალიზო საწარმოების კვლევის საგანია ფულადი ნაკადების ანგარიშგება. მიზანი კი საანალიზო საწარმოების ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური შედეგების გამოვლენა, შესწავლა და გაანალიზება. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში სს „გეფა“ და შპს „იმპექსფარმი“ წარმოდგენენ საკვლევ ობიექტებს. მათი ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესწავლისა და გაანალიზების შემდგომ გამოვლინდა ძირითადი მიგნებები და დასკვნები. მათ შორის აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია საკუთარი ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული, რაც წლიდან წლამდე წმინდა ფულადი ნაკადების ზრდაში ვლინდება და ფიზიკურ ასახვას ჰპოვებს ძირითადი საშუალებების შეძენაში, რითაც აისხნება დეფიციტური ნიშნები საინვესტიციო საქმიანობაში. გარდა ამისა, გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები არ არის დემაკმაყოფილებელი კომპანიებისათვის. ორივე საწარმოში ფიქსირდება ფულის არაეფექტიანობა და დეფიციტი საფინანსო საქმიანობაში, რაც უარყოფით მოვლენად აღიქმება და მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში მენეჯმენტის რეაგირებას საჭიროებს. კვლევის პროცესში, ასევე შემუშვებულ იქნა რეკომენდაციები.

Annotation

Analysis of Cash Flow Issues on the example of “Impexpharm LLC” And “ JSC Gefa” Mariam Eradze

For the development of the company, it is necessary to control the cash flow (SCF) and the effective management of this process allows the management to avoid cash shortages. Cash is the main resource of the company's solvency, staff remuneration and timely payment of tax liability. Based on the above, the analysis of cash flow reporting is a priority for any business unit and for external users.

The subject of research is the statement of cash flows. The aim of the study is to identify and analyze the results of the cash flow statement (SCF) of companies. In this master's work JSC "Gefa" and "Impexfarm" LLC present research objects. After studying and analyzing their cash flow statements, key findings and conclusions were revealed. Among them, it is noteworthy that both companies are focused on developing their own businesses, which is reflected in the growth of net cash flow from year to year and finds a physical reflection in the acquisition of fixed assets. In addition, the solvency rate is unsatisfactory for JSC “Gefa” and has a positive trend for “Impexpharm” LLC. In both cases, there has been an increase in the inefficiency and a lack of money, which is perceived as a negative phenomenon and needs more attention in future reporting periods. Recommendations were also developed during the research.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი 1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების როლი ანალიზში	8
1.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მიზანი და ამოცანები.....	8
1.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებელთა სისტემა	15
თავი 2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები საანალიზო საწარმოების მაგალითზე.....	18
2.1. სს „გეფას“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგები.....	18
2.2. შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგები.....	32
2.3. სს „გეფას“ და შპს „იმპექსფარმის“ ფულადი უსაფრთხოების შედარებითი დახასიათება.....	51
დასკვნა.....	57
გამოყენებული ლიტერატურა	59
დანართი	62

შესავალი

თემის აქტუალობა: ფულადი სახსრების კონტროლი მნიშვნელოვანია კომპანიის ხელმძღვანელობისათვის, რადგან აღნიშნული პროცესის თანმიმდევრული და ეფექტიანი წარმართვა ბიზნესის განვითარების საწინდარია. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზით კი მათ საშუალება ეძლევათ, დაადგინონ დეფიციტური საქმიანობები, კომპანიის გადასხდისუნარიანობა და მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გაანალიზებული შედეგები გაითვალისწინონ ფულადი სახსრების უკეთ წარმართვისათვის.

როგორც წესი ინტერესი ფულადი სახსრების მოძრაობაზე ასევე გამოიხატება კომპანიაში დასაქმებულთა მიერ. ფული ყველაზე მაღალლიკვიდური აქტივია, რისი საშუალებით ნაწილდება თანამდებობრივი სარგო დასაქმებულთა შორის და იფარება დავალიანებები, რომლებიც უფიქსირდება ორგანიზაციას საანგარიშგებო პერიოდში. დასაქმებულთა ინტერესის მთავარი მოტივი სტაბილურ კომპანიასთან თანამშრომლობაა, რომელსაც კრიტიკულ მდგომარეობაშიც შეუძლია მის ხელთ არსებული ფულადი რესურსით თანამდებობრივი სარგოს გაცემა.

კომპანიის ხელმძღვანელობისა და მასში დასაქმებულების გარდა, ფულის მოძრაობის მიმართ ზოგ შემთხვევაში საზოგადოების პირდაპირი ან ირიბი ინტერესიც გამოიხატება. აღნიშნული დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის გავლენაზე საზოგადოების მიმართ. სწორედ ასეთია ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც ნაშრომში განხილულ საანალიზო საწარმოებს წარმოადგენენ. მათ მიმართ ყოველთვის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია, მათზე დიდწილად არის დამოკიდებული მედიკამენტების ფასების რეგულირება ქვეყანაში, შესაბამისად საზოგადოებაზეც დიდი გავლენა აქვთ და საინტერესოა, როგორ წარმართავენ ისინი საკუთარ ბიზნესსა და განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან - ფულს.

წინამდებარე ნაშრომში კვლევის საგანია საანალიზო საწარმოების ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2016-2018 წლებისთვის.

კვლევის მიზანია საანალიზო საწარმოების ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური შედეგების გამოვლენა, შესწავლა და გაანალიზება.

კვლევის ამოცანები: ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკური ლიტერატურის აქტიური გაცნობა და შესაბამისი ინფორმაციის კლასიფიკაცია;
- სს „გეფას“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინდივიდუალური და კომბინირებული ანალიზი, დეფიციტური არეების, გადახდისუნარიანობისა და ეფექტიანობის შესწავლა;
- შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინდივიდუალური და კომბინირებული ანალიზი, დეფიციტური არეების, გადახდისუნარიანობისა და ეფექტიანობის შესწავლა;
- საანალიზო ფარმაცევტული კომპანიების ფულადი უსაფრთხოების შედარებითი დახასიათება და დასვნების წარმოდგენა.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ ფარმაცევტული კომპანიები სს „გეფა“ და შპს „იმპექსფარმი“. მათ ძირითად საქმიანობას მედიკამენტების, ფარმაცევტული და, ასევე, არასამედიცინო პროდუქტების საცალო და საბითუმო გაყიდვები. თავდაპირველად კომპანია „გეფა“ ძირითად საქმიანობას ახორციელებდა „ჯიპისის“ სახელით, რომელიც 1995 წელს დაარსდა, 2008 წელს კი რეორგანიზებულ იქნა სააქციო საზოგადოებად. ამავე პერიოდში მოხდა აღნიშნული კომპანის მიერ საქართველოს ჯარნადაცვის ჯგუფის აქციების 100%-ის შეძენა. 2017 წელს სს „გეფამ“ ასევე შეიძინა სს „ეიბისის“ ფარმაციის მთლიანი აქციები 67%. 2017 წელს სს „გეფა“ საცალო გაყიდვებს ახორციელებდა 255, ხოლო 2018 წელს 270 აფთიაქის მეშვეობით. სწორედ ამ საანგარიშგებო პერიოდების ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგებია ნაშრომში განხილული. შპს „იმპექსფარმი“ 1999 წელს დაფუძნდა პარტნიორის მიერ, რომელიც საანალიზო პერიოდშიც კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. ის 55 სააფთიაქო ქსელის მეშვეობით ახორციელებს ძირითად საქმიანობას

თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მის მიერ რეალიზებული საქონელი შეძენილია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სს „გეფა“ მასშტაბითა და სტრუქტურით მნიშვნელოვნად აღემატება შპს „იმპექსფარმს“. ის საქართველოს უფრო მეტ რეგიონსა და საფელს მოიცავს, ვიდრე შპს „იმპექსფარმი“. საანალიზო საწარმოებს შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. ორივე კომპანია იდენტურ ძირითად საქმიანობას ახორციელებს, ის მოიცავს მედიკამენტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობას, სააფთიაქო ქსელის შექმნასა და გაფართოებას.

კვლევის მეთოდოლოგია: სს „გეფასა“ და შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზისთვის გამოყენებული ტექნიკაა, როგორც ვერტიკალური (სტრუქტურული), ასევე ჰორიზონტალური (დინამიკური) და მაჩვენებლების ანალიზი.

მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები: კვლევის პროცესში დასახული მიზნის მისაღწევად პირველ რიგში განხილულ იქნა ეკონომიკური ლიტერატურა. აღნიშნული რესურსის მოძიების ძირითად ბაზას წარადგენს „გუგლ სქოლარი“ (Google Scholar), რომელშიც მოცემულია თანამედროვე უცხოელი ავტორების მიერ შექმნილი აკადემიური ნაშრომების ფართო სპექტრი. გარდა აღნიშნულისა, ძირითად საინფორმაციო ბაზად გამოყენებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელშიც მოცემულია ქართველი და უცხოელი ავტორების მიერ შექმნილი შრომები ეკონომიკურ და ბიზნეს საკითხებთან დაკავშირებით.

თავი 1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების როლი ანალიზში

1.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მიზანი და ამოცანები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მისი თითოეული კომპონენტის, როგორც ინდივიდუალური ასევე კომბინირებული, შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი საბოლოო ანალიზური დასკვნების გამოტანა. მაგალითისთვის, თუ კომპანიის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი დადებითი რიცხვია, ერთი შეხედვით ის პოზიტიურ მაჩვენებლად ითვლება. იმ შემთხვევაში თუ კომპანიის დამფუძნებლები გადაწყვეტენ დივიდენდის განაწილებას მათ ყურადღებას მაშინვე მიიპყრობს ფულადი ნაკადების ანგარიშგება. უფრო კონკრეტულად, საკმარისი ფულადი სახსრების არქონის შემთხვევაში მოგება/ზარალის ანგარიშგების პოზიტიური კომპონენტი კითხვის ნიშნის ქვეს დადგება. მაშინ, როცა კომპანიას საკმარისი ოდენობის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები არ აღმოაჩნდება დამფუძნებლებს შორის ვერ მოხდება დივიდენდის განაწილება.

მოგება/ზარალის მსგავსად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასაც საგულისხმო კავშირი აქვს ფულადი ნაკადების ანგარიშგებასთან, მათ კომბინირებულ შესწავლას კი ანალიზური მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითისთვის, თუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფიქსირდება გაზრდილი ფულადი აქტივები წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით, ფულადი ნაკადებისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ურთიერთშედარებით ფინანსურ ანალიტიკოსს ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუფერხებლად შეუძლია გამოავლინოს აღნიშნული ფულადი სახსრების ზრდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგია, თუ საქმე გვაქვს სასესხო ვალდებულებასთან. ერთის მხრივ, შესაძლოა ფიქსირდებოდეს, როგორც ავლნიშნეთ, ფულადი აქტივების ზრდა, თუმცა ამავდროულად საოპერაციო საქმიანობაში გამოვლინდეს დეფიციტი, რაც კომპანიისთვის ფუნქციონირებადობის საფრთხის რისკის შემცველია. ზემოთ მოცემული მაგალითების საფუძველზე იკვეთება ფინანსური

ანგარიშგების კომპონენტების კომპლექსური შესწავლის აუცილებლობა საბოლოო ანალიზური დასკვნის გამოსატანად და მასში ფულადი ნაკადების ანგარიშგების როლი.

„ფული მეფეა“ (Cash is a King) - ეს სწორედ ის ფრაზაა, რითიც 21-ე საუკუნეში ბიზნესი წარიმართება, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპის უამრავ ქვეყანაში. სწორედ ფულის მეშვეობით ფარავენ კომპანიები დასაქმებულთა ხელფასებს, კრედიტორულ დავალიანებებსა და სხვა ვალდებულებებს (Bhandari, S., & Iyer, R., 2015).

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი ხდება ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა ნებისმიერი სამართლებრივი ტიპის საწარმოსათვის. მასში ასახულია ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების საწარმოში შემოდინება და გადინება კონკრეტული პერიოდისთვის. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ბასს 7; ფულადი ნაკადების ანგარიშგება) მიხედვით ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე, ხოლო ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. „ბასს 7-ის“ მიხედვით, როდესაც ფულადი ნაკადების ანგარიშგება განიხილება დანარჩენ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეაფასოს საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით) და საწარმოს შესაძლებლობა - დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების რაოდენობრივ მხარეზე, შეცვლილი ვითარებისა და პირობების შესაბამისად (ბასს 7. პ. 4).

ფული და მისი ექვივალენტები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საქმიანობის სფეროების მიხედვით, შესაბამისად ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში სამი განაყოფა წარმოდგენილი: ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან და ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხების დასაფარად, საწარმოო სიმძლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალ ინვესტიციათა განსახორციელებლად, დაფინანსების გარე წყაროთა მოზიდვის გარეშე (ბასს 7. პ. 13).

კომპანიის საოპერაციო საქმიანობა მოიცავს ფულის და მისი ექვივალენტების ცვლილებას, ტრანსფორმაციას სხვადასხვა აქტივებში, მაგალითად მარაგებში, რომლის რეალიზაციასაც ის შემდგომში ახდენს. ფინანსებში არსებობს ტერმინი „საოპერაციო ციკლი“ (Operating Cycle). ის დასრულებულად ითვლება, როდესაც მარაგებში გაღებული ფული ნამეტით, კომპანიას უკან უბრუნდება. ყოველი ასეთი საოპერაციო ციკლის დასრულების შემდგომ იწყება ახალი და საბოლოოს ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სწორედ ასეთი ციკლებითაა დაკოპლექტებული (Subramanyam, K., 2014).

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- ა) საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- ბ) როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- გ) საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- დ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;
- ე) სადაზღვევო საწარმოს მიერ სადაზღვევო პრემიებითა და მოთხოვნებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვევო დახმარებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;

ვ) მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან;

ზ) კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები (ბასს 7. პ. 14).

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები. იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნან მომავალი შემოსავალი და ფულადი ნაკადები. მხოლოდ ისეთი დანახარჯების კლასიფიცირება შეიძლება საინვესტიციო საქმიანობის დანახარჯებად, რომლის გაწევაც იწვევს აქტივის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. ამაში ასევე შედის სამეცნიეროკვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები;

ბ) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

გ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საწარმოების წილების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები (იმ გადახდების გარდა, როდესაც ამგვარი ინსტრუმენტები მიიჩნევა ფულადი სახსრების ეკვივალენტებად ან შეძენილია კომერციული გარიგების და სავაჭრო მიზნით);

დ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საწარმოების წილების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები (იმ მიღებული სახსრების გარდა, როდესაც ამგვარი ინსტრუმენტები მიიჩნევა ფულადი სახსრების ეკვივალენტებად ან შეძენილი იყო კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით);

ე) სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები (იმ სესხებისა და ავანსების გარდა, რომლებიც გაცემულია საფინანსო დაწესებულებების მიერ);

ვ) სხვა პირებზე გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები (იმ სესხებისა და ავანსების გარდა, რომლებიც მიიღეს საფინანსო დაწესებულებებმა);

ზ) ფიუჩერსული, ფორვარდული, ოფციონებისა და სვოპის ხელშეკრულებებით გადახდილი ფულადი სახსრები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულებები შექმნილია კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით, ან ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია როგორც საფინანსო საქმიანობა;

თ) ფიუჩერსული, ფორვარდული, ოფციონებისა და სვოპხელშეკრულებებით მიღებული ფულადი სახსრები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულებები შექმნილია კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით ან ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია როგორც საფინანსო საქმიანობა (ბასს 7. პ. 16).

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები სახსრები. იგი სასარგებლოა საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად, მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

ა) აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) მესაკუთრეთათვის აქციების შექმნის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;

გ) სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

დ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები; და

ე) მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი

ფულადი ნაკადების ანალიზის მიზანია, როგორც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, ასევე საანალიზო ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის ნათელი გახადოს, ერთი მხრივ რა გზებით გამოიმუშავენს კომპანია ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებს, მეორე მხრივ კი რა მიმართულებით ხდება გამოიმუშავებული ფულადი სახსრების გადინება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს:

1. რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს სკუთარი აქტიურობით გამოიმუშავებული ფულით;
2. ჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებითაა ეს შესაძლებელი;
3. გააჩნია თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით;
4. როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე;
5. რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები (ჭილაძე, ი., 2018).

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის („ბასს 7“) მიხედვით ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენა შესაძლებელია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. პირდაპირია მეთოდი, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით, ხოლო არაპირდაპირი მეთოდია, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, აგრეთვე იმ შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან (ბასს 7. პ. 18).


ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი კომპანიებს უტოვებს არჩევანის თავისუფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ, თუ რომელ მეთოდს აირჩევენ, თუმცა საბაზისოდ პირდაპირი მეთოდი მიიჩნევა. მათ შორის განსხვავება, მხოლოდ საოპერაციო საქმიანობის მაჩვენებლის მიღების ტექნიკაში გამოიხატება, რაც შეეხება საინვეტიციო და ფინანსურ საქმიანობას, ისინი იდენტურია, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს.

საკითხთან დაკავშირებით, თუ ფულადი ნაკადების ანგარიშგების რომელი მეთოდით მომზადდება უმჯობესი ეკონომისტთა აზრი არ ემთხვევა პრაქტიკაში არსებულ მიდგომას. საქართველოში გავრცელებულია აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც ხარისხიან და იაფ აღრიცხვასა და ანგარიშგებას მოიცავს. მისი მთავარი ნაკლი დამკვეთი კომპანიისგან ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებაა, რითაც აიხსნება პრაქტიკაში არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების სიხშირე. ეკონომისტების დამოკიდებულება, ეფუძნება პირდაპირი მეთოდის ანალიზურ მნიშვნელობას, არაპირდაპირისაგან განსხვავებით.

ფულადი ნაკადების ანალიზის დაწყების წინ სასურველია, შემოწმდეს შემდეგი ტოლობა:

$$\text{წმინდა ფულადი ნაკადი} = \text{ვალდებულებების ზრდა} - \text{არაფულადი მიმდინარე აქტივების ზრდა} - \text{გრძელვადიანი აქტივების ზრდა} + \text{საკუთარი კაპიტალის ზრდა}$$

ამის შემდეგ კი იწყება მთლიანი ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი, სხვადასხვა მიმართულებით.



დიაგრამა 3.1. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდის კომპონენტები

ფულადი ნაკადების ანალიზის პირველი მეთოდია ვერტიკალური ანალიზი, რომელსაც ასევე უწოდებენ სტრუქტურულს, ფინანსური ანგარიშგების ყოველ მუხლს წარმოადგენს პროცენტულად, ანგარიშგების ცენტრალური მაჩვენებლის მიმართ. ვერტიკალური ანალიზის პირველ საფეხურად წმინდა ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურის დახასიათება ითვლება.

ჰორიზონტალური ანალიზი, რომელსაც ასევე უწოდებენ დინამიკურ ან ტრენდულს, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მეთოდების მეორე კომპონენტია. მისი გამოყენებით საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შედარება ხდება რომელიმე ერთ საანგარიშგებო პერიოდთან, მიზანი კი ცვლილებებისა და ტენდენციის გამოვლენაა. საწარმოს შედეგების მიმოხილვა მრავალწლიან პერიოდში ხდება და რაც უფრო ხანგრძლივი იქნება საკვლევი პერიოდი, მით უფრო მნიშვნელოვანი ტენდენციების დადგენაა შესაძლებელი. კვლევის პროცესში ხდება, როგორც აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლისა და ხარჯების ცვლილებების შესწავლა ერთი პერიოდიდან სხვა საანგარიშგებო პერიოდებამდე. როგორც ვერტიკალური ანალიზის დროს, ჰორიზონტალურშიც საწყისი ეტაპი საერთო წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკის შესწავლა და დახასიათებაა.

1.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებელთა სისტემა

კოეფიციენტების ანალიზის მეთოდი გულისხმობს ფარდობითი მაჩვენებლების გამოთვლას სათანადო პარამეტრების ფარგლებში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზისათვის. ეს მაჩვენებლები გამოითვლება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე და გულისხმობს ერთი მაჩვენებელის შეეფარებას მეორესთან (ჭილაძე, ი., მათურაძე, მ., ვარდიაშვილი, მ., კოზმანაშვილი, ლ., და მოდებაძე, თ., 2019).

ეკონომიკური ლიტერატურის გაცნობის შემდეგ დგინდება ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებელთა ოთხი ძირითადი კატეგორია. ესენია: ლიკვიდურობა (Liquidity); გადახდისუნარიანობა (Solvency); ეფექტურობა (Efficiency) და რენტაბელობა

(Profitability). გამოიყვება ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტები. ინდივიდუალური მაჩვენებლები დაფუძნებულია მხოლოდ ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან მიღებულ ინფორმაციაზე, კომბინირებული კი ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებიდან მიღებულ ინფორმაციას. აღნიშნული ოთხი თემატური კატეგორიის მიხედვით კლასიფიცირებული მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში 1.2.1.

ცხრილი 1.2.1.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ძირითადი კოეფიციენტები

ლიკვიდურობა (Liquidity)	
აბსოლუტური ლიკვიდურობა (CFFO/CL)	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული/მიმდინარე ვალდებულებები
გადახდისუნარიანობა (Solvency)	
საერთო გადახდისუნარიანობა	(ფულის საწყისი ნაშთი + ფულის შემოდინება) / ფულის გადინებ ჯამურად
გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტი	(წმინდა მოგება + ამორტიზაცია) / ვალდებულებები ჯამურად
პროცენტის დაფარვა	(წმ. ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან – წლ. მოგების გადასახადი) / წლ. საპროცენტო ხარჯი
პროცენტის დაფარვის დონე	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული გადასახადების გადახდამდე / გადახდილი პროცენტი
დივიდენდის დაფარვის დონე	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი / წმინდა ფულადი ნაკადი დივიდენდის გადახდამდე.
ეფექტიანობა (Efficiency)	
ფულის ეფექტიანობა	წმინდა ფულადი ნაკადი პერიოდში/ ფულის გადინება პერიოდში
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან
საინვესტიციო სამიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი / შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმ. ფულადი ნაკადი / შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან

წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი	წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან
რენტაბელობა (Profitability)	
დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა	წმინდა მოგება / საერთო წმინდა ფულადი ნაკადი
სხვა კოეფიციენტები	
რეინვესტირების კოეფიციენტი	(საერთო წმინდა ფულადი ნაკადი – დარიცხული დივიდენდი) / გრძელვადიანი აქტივების ზრდა
ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი	საერთო წმინდა ფულადი ნაკადი/დღიური ხარჯები

ლიკვიდურობა წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან „Liquidus“ და „თხევადს“ ნიშნავს. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიხედვით ლიკვიდურობა გამოხატავს კომპანიის უნარს, დროის კონკრეტულ პერიოდში მის ხელთ არსებული ფულადი სახსრებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები (Jang, S., & Ryu, K., 2004).

გადახდისუნარიანობა (Solvency) გამოხატავს კომპანიის უნარს, გარძელვადიან პერსპექტივაში დაფაროს მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დარიცხული ვალდებულებები ჯამურად (Jang, S., & Ryu, K., 2004). ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობას შორის მთავარი განსხვავება შემდეგია: ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა - ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა განსხვავებული ცნებებია. მაგალითად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით შეიძლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დადებითად ხასიათდებოდეს, თუმცა ეს შეფასება შეიძლება მცდარი იყოს, თუ საბრუნავი აქტივების შედგენილობაში ჭარბობს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები, რომლებიც სწორედ ხარვეზების მაჩვენებელია გადახდისუნარიანობაში (ჭილაძე, ი., მაისურაძე, მ., ვარდიაშვილი, მ., კოზმანაშვილი, ლ., და მოდებაძე, თ., 2019).

ეფექტურობა (Efficiency) ერთი მხრივ, განისაზღვრება საქმიანობების მიხედვით კომპანიაში შემოსული და გასული ფულის თანაფარდობით, რაც ფინანსური ანგარიშგების

მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ფულადი თანხების ეფექტიანად განკარგვის შესახებ. მეორე მხრივ კი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან იძლევა პასუხს კითხვაზე, რამდენად იყენებს ის ძირითადი საქმიანობისას მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რიცხულ მთლიან აქტივებს (Fawzi, N., Kamaluddin, A., & Sanusi, Z., 2015).

რენტაბელობა (Profitability) ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიხედვით აჩვენებს, კომპანიის მიმდინარე პერიოდის წმინდა მოგება რამდენად შეესაბამება ამავე პერიოდში მის ფულად ნაკადებში ასახულ ფულად სახსრებს (Fawzi, N., Kamaluddin, A., & Sanusi, Z., 2015).

თავი 2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები საანალიზო საწარმოების მაგალითზე

2.1. სს „გეფას“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მიზნით შერჩეულ იქნა სააქციო საზოგადოება „გეფა“, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც სააფთიაქო ქსელი „ჯი-პი-სი“. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტების, ფარმაცევტული და, ასევე, არასამედიცინო პროდუქტების საცალო და საბითუმო გაყიდვები. 2018 წელს სს „გეფა“ საცალო გაყიდვებს ახორციელებდა 270, ხოლო 2017 წელს 255 აფთიაქის მეშვეობით. სწორედ ამ საანგარიშგებო პერიოდების ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგებია ნაშრომში განხილული.

განხილული ანალიზური ტექნიკის გათვალისწინებით, საანალიზო უშუალოდ საწარმოს ანალიზი განხორციელდება საჭიროა, შემოწმდეს წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლები ცვლილების მიხედვით. ცვლილებები გამოიანგარიშება ვალდებულებებში არაფულად აქტივებისა და კაპიტალის მუხლებში.

ცხრილი 2.1.1.

სს „გეფას“ წმინდა ფულადი ნაკადები საბალანსო მუხლების მიხედვით

საბალანსო მაჩვენებლების ცვლილება	წმინდა ფულადი ნაკადი	
	2017	2018
ვალდებულების ზრდა	74 764 000	12 720 000
არაფულადი აქტივების ზრდა	(184 026 000)	(17 049 000)
საკუთარი კაპიტალის ზრდა	116 841 000	10 651 000
<u>სულ წმინდა ფულადი ნაკადები</u>	7 579 000	6 322 000

როგორც 2.1.1 და 2.1.2 ცხრილებიდან ჩანს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ოდენობა იდენტურია ფულადი ნაკადების ანგარიშგების საფუძველზე მიღებული მაჩვენებლებისა. წმინდა ფულადი ნაკადების გადამოწმების შემდეგ იწყება ფულადი ნაკადების ანგარიშგების უშუალო ანალიზი, რომლის საწყისი ეტაპი კომპანიაში ფულის შემოდინებისა და გადინების სტრუქტურის განხილვაა.

ცხრილი 2.1.2.


სს „გეფას“ წმინდა ფულადი ნაკადები საქმიანობის სახეების მიხედვით

მაჩვენებლები	წმინდა ფულადი ნაკადი	
	2017	2018
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	14 627 000	32 862 000
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(38 181 000)	(20 886 000)
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	31 133 000	(5 654 000)
<u>სულ წმინდა ფულადი ნაკადები</u>	7 579 000	6 322 000

როგორც 2.1.2. ცხრილში ჩანს, წმინდა ფულადი ნაკადების მაჩვენებლები დაყოფილია საქმიანობების მიხედვით. სს „გეფას“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების არც ერთ საანგარიშგებო პერიოდში არ არსებობს დეფიციტი, რაც პოზიტიურ მოვლენად აღიქმება და საწარმოს ფინანსური აქტიურობის მაღალი ხარისხის


მაჩვენებელია. საოპერაციო საქმიანობა სს „გეფას“ ძირითადი საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულის მოცულობას განსაზღვრავს.

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან უარყოფითი მაჩვენებელია, თუმცა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს დეფიციტის შემცირება ფიქსირდება. ფინანსური ანალიზის შრომებსა და სხვა აკადემიურ ლიტერატურაში ავტორები აღნიშნავენ, რომ დასაშვებად ითვლება დეფიციტი საინვესტიციო საქმიანობაში, თუ საოპერაციო და საფინანსო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ჯამი აღემატება საინვესტიციო საქმიანობაში არსებულ ფულის დეფიციტს. სს „გეფას“ შემთხვევაში აღნიშნული კრიტერიუმი ორივე წელს დაკმაყოფილებულია.



დიაგრამა 2.1.1. სს "გეფას" საინვესტიციო საქმიანობიდან გადინებული ფულის სტრუქტურა 2017 წ.

სს „გეფას“ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ჩანს, რომ 2017 წელს კომპანიამ საინვესტიციო საქმიანობაში გასული ფულის 21% გამოყო ძირითადი საშუალებების, 5% არამატერიალური აქტივების, ხოლო ყველაზე მეტი 74% შვილობილი საწარმოს გამოშვებული აქციების შესაძენად. აღნიშნული ოპერაციები ასახულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სადაც ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების ოდენობა ჯამურად 4 016 000 ლარით არის გაზრდილი.




დიაგრამა 2.1.2. სს "გეფას" საინვესტიციო საქმიანობიდან გადინებული ფულის სტრუქტურა 2018 წ.

2018 წელს საინვესტიციო საქმიანობაში გადინებული ფულისა და მისი ექვივალენტების პროცენტული განაწილება მსგავსია 2017 წელთან, თუმცა მიმდინარე პერიოდში სს „გეფამ“ დამატებით განათავსა საკრედიტო დაწესებულებაში 4%.


დეფიციტი, რომელიც არის საინვესტიციო საქმიანობაში დიდწილად არ ითვლება ნეგატიურ მაჩვენებლად. თვალსაჩინოა, რომ სს „გეფა“ მუდმივად ცდილობს, განავითაროს საკუთარი ბიზნესი, რაც გამოიხატება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და შვილობილო საწარმოს აქციების შეძენაში. საკუთარი საწარმოს რესურსების გაზრდასა და განვითარებაში გადახდილი თანხა არ აღიქმება ნეგატიურ ქმედებად. მიუხედავად ამისა სამომავლო პესპექტივაში, როდესაც კომპანია გააგრძელებს ძირითადი საშუალებებითა და არამატერიალური აქტივებით, სასურველი იქნება თუ შეამცირებს ფულის და მისი ექვივალენტების გადინებას ამ მიმართულებით და მხოლოდ საექსპულატაციო ვადის ამოწურვის შემდგომ მოახდენს მათ განახლებას.

რაც შეეხება წმინდა ფულად ნაკადებს საფინანსო საქმიანობიდან, 2017 წელს მაჩვენებელი დადებითი და პოზიტიურია, ხოლო 2018 წელს სახეზეა დეფიციტი. ამ ნეგატიური ცვლილების გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს.



დიაგრამა 2.1.3. სს "გეფას" საფინანსო საქმიანობიდან გასული ფულის სტრუქტურა 2017-2018 წლებში

დიაგრამა 2.1.3-ის განხილვისას, რომელზეც ასახულია 2017-2018 წლებში საფინანსო საქმიანობიდან გამავალი ფულის და მისი ექვივალენტების სტრუქტურა, ნათელი გახდება როგორ შეიძლება აიხსნას საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადებში დეფიციტი 2018 წელს. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ფულის გადინება სამივე კომპონენტში გაზრდილია, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც გამოიწვია დეფიციტი არის აქციონერებზე გადახდილი დივიდენდები. ორი საანალიზო წლის განმავლობაში ჯამურად გაცემული დივიდენდების 89% დაფიქსირდა 2018 წელს, მაშინ როცა 2017 წელს სულ რაღაც 11% გაიცა აქციონერებზე დივიდენდის სახით. ასევე დიდია პროცენტული წილი, ნახესხები სახსრების დაფარვაში (2017-26%, 2018-74%).



დიაგრამა 2.1.4. სს "გეფას" საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულის სტრუქტურა 2017-2018 წლებში

მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ გასული ფულის პროცენტულობით არ ვიმსჯელოთ და შემოსული ფულის სტრუქტურაც განვიხილოთ. როგორც დიაგრამა 2.1.4.-ზე ჩანს სესხების ოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი 2018 წელს, შესაბამისად ის ფაქტი, რომ

ნასესხები სახსრების დაფარვაზე 74% გვხვდება, ლოგიკურია. ჯამურად ორი წლის განმავლობაში შვილობილი კომპანიისგან მიღებული თანხების 72%-ია დაფიქსირებული 2017, ხოლო 28% - 2018 წელს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულად ნაკადებში დეფიციტი ორი მთავარი მიზეზით აიხსნება. პირველი და ყველაზე საგულისხმო აქციონერებზე გაცემული დივიდენდების დიდი რაოდენობაა, რაც ჩემი აზრით რესურსის არამიზნობრივად ხარჯვის მაგალითია და შემდგომში ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა კომპანია „გეფას“ აქტიურ ფუნქციონირებადობასაც კი შეუქმნას საფრთხე. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რითიც შესაძლოა დეფიციტი აიხსნას, არის საფინანსო საქმიანობაში შემოსული ფულადი სახსრების სიმცირე, კონკრეტულად კი შვილობილი საწარმოდან მიღებული თანხები.

ცხრილი 2.1.3.

სს „გეფაში“ შემოსული ფულის საერთო სტრუქტურა 2017-2018 წლებში

მაჩვენებლები	2017	2018
ფულის შემოდინება	ხვ/წ.%-ად	ხვ/წ.%-ად
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	80,743	70,403
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	0,333	0,215
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	0,010
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	0,009	0,004
აღებული სესხები	12,734	27,552
შვილობილი კომპანიების შესყიდვისთვის მიღებული თანხები	6,181	1,816
<u>სულ შემოსული ფული</u>	100	100

სს „გეფას“ ვერტიკალური ანალიზი ასახულია ცხრილში 2.1.3. მასში ჩანს, რომ შემოსული ფულის 70% - 2018, ხოლო 80% - 2017 წელს მიღებულია გაყიდვებიდან, ის საოპერაციო საქმიანობის ნაწილია და მთელიანად შემოსულ ფულში ამ მაჩვენებლის პროცენტული სიდიდე პოზიტიურ მოვლენად არის მიჩნეული. სიდიდით მეორე მთლიანად შემოსულ ფულში აღებული სესხია, 28% - 2018, ხოლო 12% - 2017 წელს. ის საფინანსო საქმიანობის ნაწილია და ფინანსური მდგომარეობის ანაგარიშგებაში

ვალდებულებად კლასიფიცირდება, შესაბამისად მისი ზრდა ანალიზური თვალსაზრისით საგულისხმოა. კომპანია სასურველია საკუთარ სავაჭრო ვალდებულებებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით ფარავდეს და დამატებით სესხს არ იღებდეს მათ დასაფარავად.

ცხრილი 2.1.4.

სს „გეფადან“ გასული ფულის საერთო სტრუქტურა 2017-2018 წლებში

მაჩვენებლები	2017	2018
ფულის გადინება	ხვ/წ.%-ად	ხვ/წ.%-ად
შეძენილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	65,803	55,182
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	7,348	6,006
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,012	5,158
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	0,186	0,159
გადახდილი მოგების გადასახადი	0,089	0,089
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	5,464	1,832
ძირითადი საშუალებების შეძენა	1,530	0,903
საკრედიტო დაწესებულებებისაგან მისაღები თანხების განთავსება	-	0,128
არამატერიალური აქტივების შეძენა	0,382	0,112
ნასესხები სახსრების დაფარვა	12,066	25,845
აქციონერებზე გადახდილი დივიდენდები	0,675	4,209
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	0,443	0,378
<u>სულ გასული ფული</u>	100	100

კომპანიის ფულის გადინების სტრუქტურა ასახულია ცხრილში 2.1.4. სს „გეფასთვის“ გასული ფულის უმეტესობა მიმართულია პროდუქციის შეძენაში, ორივე საანალიზო წელს (2018 – 55%, 2017 – 65%). ასევე დიდი პროცენტული წილი უჭირავს ნასესხები სახსრების დაფარვას (2018 – 26%, 2017 – 12%).

ცხრილი 2.1.5.

**სს "გეფას" წმინდა ფულადი ნაკადების ცვლილება საქმიანობის სახეების მიხედვით
2018 წელს წინა წელთან შედარებით**

მაჩვენებლები	%-ად
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	225
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	155
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	18
<u>სულ წმინდა ფულადი ნაკადი</u>	83

ჰორიზონტალური ანალიზის საწყისი ეტაპი, წმინდა ფულადი ნაკადების საერთო დინამიკის გაცნობაა. 2.1.5. ცხრილის მიხედვით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან, 2018 წელს 225% პროცენტის ზრდაა დაფიქსირებული. იქიდან გამომდინარე, რომ საოპერაციო კომპანიის ძირითადი საქმიანობაა, გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით პოზიტიურ ცვლილებად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურის შესწავლისას საინვესტიციო საქმიანობაში დეფიციტი დაფიქსირდა, ზემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, რომ 2018 წელს მდგომარეობა დინამიკაში გაუმჯობესებულია. შედარებით უარყოფითი და საგულისხმო ტენდენციაა საფინანსო საქმიანობაში, რომელიც 2018 წელს 82%-ით არის შემცირებული.

ცხრილი 2.1.6.

სს "გეფასში" შემოსული ფულის ცვლილება 2018 წელს წინა წელთან შედარებით

მაჩვენებლები	%-ად
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	118
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	88
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	700
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	71
აღებული სესხები	293
შვილობილი კომპანიების შესყიდვისთვის მიღებული თანხები	40
<u>სულ შემოსული ფული</u>	135

ცხრილში 2.1.6. ჩანს საწარმოში შემოსული ფულის დინამიკა. 2018 წელს გაზრდილია აღებული სესხების ოდენობა 193%-ით, ასევე გაზრდილია გაყიდვებიდან მიღებული შემოსვლის პროცენტული მაჩვენებელი 18%-ით, რაც საკმაოდ პოზიტიურ მოვლენად ითვლება და საწარმოს ეკონომიკურ აქტიურობაზე მიუთითებს. შემცირებულია მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი (22%), ასევე შემცირებულია საპროცენტო შემოსავალი (29%) და შვილობი კომპანიიდან მიღებული თანხები (60%). ჯამურად საწარმოში შემოსული თანხები წინა წელთან შედარებით 35%-ით არის გარდილი.

ცხრილი 2.1.7.

სს "გეფადან" გასული ფულის ცვლილება 2018 წელს წინა წელთან შედარებით

მაჩვენებლები	%-ად
შემქნილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	114
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	111
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	117
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	116
გადახდილი მოგების გადასახადი	136
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	46
ძირითადი საშუალებების შეძენა	80
საკრედიტო დაწესებულებებისაგან მისაღები თანხების განთავსება	900
არამატერიალური აქტივების შეძენა	40
ნასესხები სახსრების დაფარვა	292
აქციონერებზე გადახდილი დივიდენდები	849
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	116
<u>სულ გასული ფული</u>	136

ფულის გადინების დინამიკიდან ირკვევა, რომ გასული ფულის პროცენტული მაჩვენებლები დიდწილად გაზრდილია. კლება შეინიშნება მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებლის შემთხვევაში, ესენია: შვილობილი კომპანიის შესყიდვა 54%-ით, ძირითადი საშუალების შესყიდვა 20%-ით, არამატერიალური აქტივის შეძენა 60%-ით. საბოლოო ჯამში 2018 წელს გასული ფული გაზრდილია 36%-ით.

სს „გეფას“ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის შემდეგ საჭიროა კოეფიციენტების გამოთვლა და მიღებული შედეგების ანალიზი. როგორც ლიტერატურული ჩარჩოს განხილვისას იქნა ნახსენები, გამოიყოფა ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტები. საწარმოს მენეჯმენტი ხშირად მიმართავს ორივე სახის კოეფიციენტის ანალიზს ფინანსური ანგარიშგების თითოეული ელემენტისათვის. სწორედ მასზე დაყრდნობით იღებენ ისინი ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. სს „გეფას“ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე დაყრდნობით გამოანგარიშებულ იქნა ძირითადი ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტები.

ცხრილი 2.1.8.

სს „გეფას“ ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტები 2017-2018 წლებში

კოეფიციენტები	2017	2018
ფულის საერთო ეფექტიანობა	0,0146	0,0089
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	0,034	0,065
საინვესტიციო სამიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	(848,466)	(204,76)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	0,313	-0,027

ფულის ეფექტიანობა კომპანიისთვის პოზიტიურ მაჩვენებლად ითვლება, თუ ის მაღალია 1-ზე. 2017 წელს სს „გეფასთვის“ ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტი არის 0,0146, ხოლო 2018 წელს ის კიდევ უფრო შემცირდა (0,0089). აღნიშნულიდან ცალსახაა, ფულის მაღალი არაეფექტიანობა, მისი გამომწვევი მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდებში სს „გეფადან“ გადინებული ფულის ოდენობა მნიშვნელოვნად აღმატება ამავე პერიოდში აკუმულირებულ წმინდა ფულად ნაკადებს. ფულის ეფექტიანობის გაზრდისათვის საჭიროა, სს „გეფამ“ მომავალ წლებში შეამციროს სხვაობა ჯამურად ფულის გადინებასა და წმინდა ფულად ნაკადებს შორის, რადგან მოცემული მაჩვენებელი დინამიკაში ნეგატიურობით ხასიათდება.

რაც შეეხება ფულის ეფექტიანობას უშუალოდ საქმიანობების მიხედვით, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის ეფექტიანობა დაბალია 2017-2018 წლებში. სს „გეფას“ შემთხვევაში შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან 2018 წელს - 502, ხოლო 2017 წელს 426 მილიონია. წმინდა ფულადი ნაკადის მაჩვენებელი კი გაცილებით დაბალია, რაც გამოწვეულია გასული ფულის ასევე მაღალი ოდენობით. სწორედ გასული ფულის მაღალმა მაჩვენებელმა საოპერაციო საქმიანობიდან გამოიწვია დაბალი ეფექტიანობა. საოპერაციო სს „გეფას“ ძირიადი საქმიანობაა სწორედ ამიტომ, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზისათვის ეს კოეფიციენტი ერთ-ერთი პრიორიტეტულია. 2018 წელს მცირედი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა და პოზიტიურ მოვლენად ჩათვლება თუ მომავალ წლებში სს „გეფას“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა მკვეთრი ზრდით დახასიათდება.

არაერთხელ იქნა მრავალი ასპექტით განხილული სს „გეფას“ საინვესტიციო საქმიანობაში არსებული დეფიციტი და მისი გამომწვევი მიზეზები. ეფექტიანობის ანალიზი იძლევა საშუალებას, პრობლემა უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების დეფიციტი 2018 – 20, ხოლო 2017 – 38 მილიონია, რაც 2018 – 204, ხოლო 2017 – 848-ით აღემატება შემოსავალს საინვესტიციო საქმიანობიდან. წლების მიხედვით მონაცემების შედარებისას 2018 წელს მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, რაც გამოწვეულია შემოსავლით, რომელიც სს „გეფამ“ მიიღო ძირითადი საშუალების რეალიზაციით. აღნიშნული ეკონომიკური ქმედება სისტემატიური შემოსავლის გზა არ არის კომპანიისთვის, ამიტომაც მომავალში საოპერაციო საქმიანობის დეფიციტის აღმოსაფხრელად საჭიროა სტაბილური გზების ძიება ან არსებულის, მაგალითად მიღებული საპროცენტო შემოსავლის მკვეთრი ზრდა.

როგორც ეფექტიანობის ყველა კომპონენტი, საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ეფექტიანობაც დაბალია, 2018 წელს კი დეფიციტის ნიშნები იკვეთება. შემოსავალი 2018 წელს 2017 - თან შედარებით 110 მილიონითაა გაზრდილია, თუმცა მიმდინარე წელს გასული ფულის ოდენობამ ეს სხვაობა გააბათილა და დაფიქსირდა

დეფიციტი. სწორედ ამიტომ 2018 წლის ფულის მაღალი შემოდინების მიუხედავად 2017 წელს უკეთესი მდგომარეობა ფიქსირდება. სამომავლოდ მისაღები იქნება, თუ სს „გეფას“ საფინანსო საქმიანობაში დეფიციტის ნიშნები აღარ დაფიქსირდება და ასევე გაიზრდება ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ცხრილი 2.1.9.

სს „გეფას“ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები 2017-2018 წლებში

კოეფიციენტები	2017	2018
პროცენტის დაფარვის დონე	6,5661	12,5520
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	6,312	12,20
წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი	(0,3830)	(1,5733)
დივიდენდის დაფარვის დონე	0,76	0,10
საერთო გადახდისუნარიანობა	1,019	1,023
ბივერის გადახდისუნარიანობის	0,075	0,105
აბსოლუტური ლიკვიდურობა	0,14	0,26
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,33	0,36

სს „გეფასთვის“ პროცენტის დაფარვის დონე მაღალია 2017 წელს (6,5661) და ის კიდევ უფრო იზრდება 2018 წელს (12,5520), რაც ანალიზური მიზნებისათვის პოზიტიურ ინდივიდუალურ მაჩვენებლად ითვლება. პროცენტის დაფარვის დონის გამომანგარიშებაში შემადგენელი ელემენტებად კლასიფიცირდება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული გადასახადების გადახდამდე და გადახდილი პროცენტის მაჩვენებლები. 2018 და 2017 წლების მონაცემებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, მიმდინარე წლის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ არის გაუმჯობესებული წინა წელთან შედარებით. აღნიშნული შედეგი გამოწვეული არ არის გადახდილი პროცენტის სიდიდით. როგორც მიმდინარე ასევე წინა სააგნარიშგებო წელს გადახდილ პროცენტს შორის სხვაობა არაარსებითია. მოცემულ წლებში განსხვავების მიზეზი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის დაახლოებით 2-ჯერ ზრდაა 2017 წელთან შედარებით, რამაც საბოლოოდ გამოიწვია სს „გეფასთვის“ წლიდან წლამდე მნიშვნელოვანი სახვაობა აღნიშნულ

მაჩვენებელში. მაღალი პროცენტის დაფარვის დონე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სს „გეფას“ აქვს შესაძლებლობა აღებული სესხის პროცენტი დაფაროს მისი ძირითადი, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით, იქამდე სანამ ის გადაიხდის მოგების გადასახადს.

ინდივიდუალურის გარდა, პროცენტის დაფარვის დონის კომბინირებული კოეფიციენტებიც გამოიანგარიშება. აღსანიშნავია, რომ სს „გეფასთვის“ პროცენტის დაფარვის დონესა და პროცენტის დაფარვის კოეფიციენტს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს, რაც იმაზე მიუთითებს რომ დარიცხული და გადახდილი პროცენტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. კომბინირებული კოეფიციენტის მისაღებად მოგება/ზარალის ანგარიშებიდან ჩაერთო წლიური მოგება და ასევე წლიური საპროცენტო ხარჯი.

სს „გეფასთვის“ წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი არ არის პოზიტიური მაჩვენებელი. ორივე საანალიზო წელს თავს იჩენს დეფიციტის ნიშნები საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ წმინდა ფულად ნაკადებში, სწორედ ამიტომ არის მონაცემები წარმოდგენილი უარყოფითი ნიშნით. მაჩვენებელი 2018 წელს გაუმჯობესებულია 2017 წელთან შედარებით, რადგან შემცირდა საინვესტიციო საქმიანობაში დეფიციტი და ამავდროულად გაიზარდა მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ოდენობა საოპერაციო საქმიანობიდან. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი დაბალი ხარისხით იფარება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით.

დივიდენდის დაფარვის დონე 2017 წელს 2018 - თან შედარებით მაღალია. მაჩვენებლის მიხედვით ნათელი ხდება, თუ რამდენად შეუძლია კომპანიას დაფაროს დივიდენდები ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ფულით. მიუხედავად იმისა, რომ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი 2018 წელს 2-ჯერ არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით, მიმდინარე წელს 3-ჯერ მეტი ოდენობის დივიდენდი

გაიცა. სწორედ, ამიტომ დაფიქსირდა 2017 წელს მაღალი მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით.

სს „გეფას“ საერთო გადახდისუნარიანობა არ არის დამაკმაყოფილებელი. სასურველია ის იყოს 2-დან 3-მდე ინტერვალში. გადახდისუნარიანობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს, ესენია: ფულის საწყისი ნაშთი, ფულის შემოდინება და ფულის გადინება. კოეფიციენტის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კომპანია „გეფას“ არ შეუძლია ნაკლები დაბრკოლებით გადაიხადოს გადასახდელები, მის ხელთ არსებული ფულითა და მისი ექვივალენტებით.

საერთო გადახდისუნარიანობისგან განსხვავებით ბივერის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი რიცხობრივად არ არის მსგავსი, თუმცა ორივე მაჩვენებლით თვისებრივად იდენტური შედეგია მიღებული. გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტის დამაკმაყოფილებელი ინტერვალი 0,17-დან 0,4-მდე მერყეობს. 2017-2018 წლების მაჩვენებლები სწორედ ამ ინტერვალში ხვდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გადახდისუნარიანობის რისკის წარმოშობა საშუალოდ ფასდება.

ცხრილი 2.1.10.

სს „გეფას“ რეინვესტირებისა და ფულის რენტაბელობის კოეფიციენტები 2017-2018 წლებში

კოეფიციენტები	2017	2018
რეინვესტირება	0,04	(2,50)
დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა	4,85	7,09

რეინვესტირების კოეფიციენტი აღნიშნავს რამდენად ხდება საერთო წმინდა ფულადი ნაკადის რეინვესტირება გრძელვადიან აქტივებში. მაჩვენებელი 2018 წელს უარყოფითია, რაც იმითა არის გამოწვეული, რომ 2017-დან 2018 წლამდე მოხდა გრძელვადიანი აქტივების შემცირება. 2017 წელს, საერთო წმინდა ფულადი ნაკადის დიდი

ნაწილი, დივიდენდის განაწილების შემდგომ მოხმარდა გრელვადიანი აქტივების შეძენას. 2016 წლიდან 2017 წლამდე გრძელვადიანი აქტივები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სს „გეფას“ დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა პოზიტიური ტენდენციით ხასიათდება. მოგება/ზარალში დაფიქსირებული წმინდა მოგებისა და წმინდა ფულადი ნაკადების მაჩვენებლთა თანაფარდობას 2018 წელს უკეთესი შედეგი აქვს 2017 წელთან შედარებით.

2.2. შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მიზნით შერჩეული რიგით მეორე საანალიზო საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმპექსფარმია“. ის 1999 წლის 15 აპრილს დაფუძნდა პარტნიორის მიერ, რომელიც საანალიზო პეროდშიც კოპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. შპს „იმპექსფარმის“, ისევე როგორც სს „გეფას“, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სააფთიაქო ქსელის შექმნა და გაფართოება. კომპანია სწორედ 55 სააფთიაქო ქსელის მეშვეობით ახორციელებს ძირითად საქმიანობას თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მის მიერ რეალიზებული საქონელი შემენილია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზამდე სასურველია შემოწმდეს წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კონკრეტული მაჩვენებლების ცვლილებებზე დაყრდნობით.

ცხრილი 2.2.1.

წმინდა ფულადი ნაკადები საბალანსო მუხლების მიხედვით 2016-2018 წლებში

საბალანსო მაჩვენებლების ცვლილება	წმინდა ფულადი ნაკადი		
	2016	2017	2018
ვალდებულებების ზრდა	278 964	1 516 045	1 714 510
არაფულადი აქტივების ზრდა	(4 492 778)	(4 616 166)	1 476 898
საკუთარი კაპიტალის ზრდა	1 829 667	4 753 021	4 802 678
<u>სულ წმინდა ფულადი ნაკადები</u>	(2 384 147)	1 652 900	7 994 086

იმისათვის, რომ მიღებულ იქნას წმინდა ფულადი ნაკადები, ბუღალტრული ბალანსის მაჩვენებლების მიხედვით, ვალდებულებისა და კაპიტალის ზრდის ჯამს აკლდება მიმდინარე არაფულადი და გრძელვადიანი აქტივების ზრდა. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიხედვით კი წმინდა ფულადი ნაკადები მიიღება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების საფუძველზე. 2.2.1. და 2.2.2. ცხრილების შედარებით დგინდება, რომ წმინდა ფულადი ნაკადები იდენტურია, როგორც ფულადი ნაკადების ასევე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ცხრილი 2.2.2.

წმინდა ფულადი ნაკადები საქმიანობის სახეების მიხედვით 2016-2018 წლებში


მაჩვენებლები	წმინდა ფულადი ნაკადი		
	2016	2017	2018
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	298 184	4 862 027	7 759 518
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 139 129)	(510 901)	(517 768)
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	(1 543 202)	(2 698 226)	752 336
<u>სულ წმინდა ფულადი ნაკადები</u>	(2 384 147)	1 652 900	7 994 086

შპს „იმპექსფარმის“ წმინდა ფულადი ნაკადები მოცემულია სამი საანალიზო წლისთვის, ასევე კლასიფიცირებულია საქმიანობების მიხედვით. ცხრილში 2.2.2. წარმოდგენილია დინამიკაში წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა. ასევე, შეინიშნება დეფიციტური ნიშნები, განსაკუთრებით 2016 წელს, სადაც მთლიანი ფულის გადინება

მნიშვნელოვნად აჭარბებს ფულის შემოდინებას, შედეგად ჯამურად წმინდა ფულად ნაკადებში დაფიქსირებულია დეფიციტი.

2017 წელს წმინდა ფულადი ნაკადების ჯამურ მაჩვენებელში აღარ შეინიშნება დეფიციტი, თუმცა თუ მონაცემის თითოეულ შემადგენელ ელემენტს განვიხილავთ, ნათელი ხდება ფულადი სახსრების დეფიციტი საინვესტიციო, განსაკუთრებით კი საფინანსო საქმიანობაში. საბოლოოდ საოპერაციო საქმიანობაში წმინდა ფულადი ნაკადების სიდიდემ 2016 წელთან შედარებით, გადაფარა ფულადი დეფიციტი ნახსენებ ორ მიმართულებაში. მიმდინარე წელს, მდგომარეობა დანარჩენ ორ საანალიზო წელთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, თუმცა საინვესტიციო საქმიანობაში მაინც შეიმჩნევა ფულადი სახსრების დეფიციტი.

ცხრილი 2.2.2.-ის გაანალიზებისას ზოგადი წარმოდგენა იქმნება კომპანია „იმპექსფარმის“ ხელთ არსებული ფულისა და მისი ექვივალენტების შემოდინებასა და განკარგვასთან დაკავშირებით. დეფიციტი ფინანსური ანალიზის დროს ნეგატიურ მოვლენად ითვლება და ის შპს „იმპექსფარმის“ სამივე საანალიზო წელს გვხვდება, ფულადმა დეფიციტმა შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიღოს და კომპანიის ფუნქციონირების საკითხიც კი დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ.




დიაგრამა 2.2.1. სს "გეფას" საინვესტიციო საქმიანობიდან გადინებული ფულის სტრუქტურა 2017-2018 წლებში

საინვესტიციო საქმიანობაში შპს „იმპექსფარმს“ დაფიქსირებული აქვს დეფიციტი სამივე საანალიზო წელს, სწორედ ამიტომ საინტერესოა გასული ფულის სტრუქტურის სიღრმისეული განხილვა. დიაგრამა 2.2.1-ის მიხედვით, 2016 წელს ფულის გადინება საინვესტიციო საქმიანობაში ოთხი მიმართულებით დაფიქსირდა. რიცხოვნობრივად გასული ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ 2016 წელზე მოდის, წმინდა ფულად ნაკადებში კი 1 139 129 ლარის ფულადი დეფიციტია, რაც 2017 და 2018 წლების საინვესტიციო საქმიანობაში წარმოქმნილ დეფიციტზე დაახლოებით ორჯერ მეტია. 2017 წელს ფულის გადინება საინვესტიციო საქმიანობაში სამი, ხოლო, 2018 წელს ორი მიმართულებით დაფიქსირდა.

ლიტერატურული ჩარჩოსა და სს „გეფას“ შედეგების ანალიზის მიმოხილვისას დგინდება, რომ დეფიციტი მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს არ წარმოადგენს 2017-2018 წლებში, როდესაც საოპერაციო და საფინანსო საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ჯამი აჭარბებს საინვესტიციო საქმიანობაში არსებულ ფულად დეფიციტს. 2016 წელს აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული, შესაბამისად დეფიციტი საინვესტიციო საქმიანობაში დასაშვებად არ ითვლება.

2016 წელს კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება, რაც საინვესტიციო საქმიანობაში გასული თანხის 57%-ს შეადგენს. ამავე წელს დაიწყო კაპიტალური რემონტი, შეძენილ იქნა ავტოსატრანსპორტო და სხვა სახის ძირითადი საშუალებები. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ კომპანია „იმპექსფარმი“ ორიენტირებულია ბიზნესის განვითარებაზე. ფულადი რესურსის დიდი ნაწილი მიმართულია უძრავი ქონებისა და ძირითადი საშუალებების შესაძენად, თუმცა ბიზნესის მასშტაბის გათვალისწინებით წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან 2016 წლისათვის საკმაოდ მცირეა. სწორედ ამიტომ სასურველი იქნებოდა, თუ შპს „იმპექსფარმი“ მოახდენდა სარემონტო და ძირითადი საშუალებებისათვის გასასვლელი ფულის გადანაწილებას მომავალი წლებისათვის, რის შედეგადაც ნაწილობრივ მოახერხებდა განვითარებას და ამავდროულად შემცირებული იქნებოდა ფულადი დეფიციტი.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლებში დეფიციტი ორჯერაა შემცირებული 2016 წელთან შედარებით, თუმცა სამომავლო პერსპექტივაში პოზიტიურ ფაქტად ჩაითვლება თუ დეფიციტური ნიშნები საინვესტიციო საქმიანობაში აღარ დაფიქსირდება.



დიაგრამა 2.2.2. შპს "იმპექსფარმის" საფინანსო საქმიანობიდან გადინებული ფულის სტრუქტურა 2016-2018 წლებში

ფულადი სახსრების დეფიციტი ასევე დაფიქსირებულია საფინანსო საქმიანობაში არსებულ წმინდა ფულად ნაკადებში 2016-2017 წლების მდგომარეობით. როგორც დიაგრამა 2.2.1.-ზეა წარმოდგენილი კომპანია „იმპექსფარმა“ შეიძინა უძრავი ქონება, დაიწყო მისი კაპიტალური რემონტი, ასევე შეიძინა ავტოსატრანსპორტო და სხვა სახის ძირითადი საშუალებები, რაშიც გავიდა მილიონობით ლარის ფულადი სახსრები. მოცემული დეფიციტი კი მიჩნეულ იქნე მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად. ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2016 წელს ჯამურად წმინდა ფულად ნაკადებში ფიქსირდება ფულის დეფიციტი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით 2016 წელს კომპანია აქციონერზე ანაწილებს დივიდენდებს, რაც საფინანსო საქმიანობიდან მთლიანი გასული ფულის აბსოლიტურ უმრავლესობას წარმოადგენს. მაშინ, როდესაც კომპანია დრამატული ფულადი დეფიციტის პირობებში, გასცემს იმ რაოდენობის დივიდენდებს, რისი შესაბამისი ფულადი სახსრები მას არ გააჩნია, კომპანია ამ წინასწარ განზრახული ან განუზრახველი ქმედებით ფინანსური კრიზისის ზღვარზე დგება.

საინტერესოა თუ რითი შეიძლება აიხსნას ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლისათვის ის ფაქტი, რომ კომპანია აქციონერზე ანაწილებს დივიდენდს, მაშინ, როდესაც არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები და ამავდროულად არსებობს მრავალი ფინანსური რისკი. 2016 წლის დასაწყისში ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, რომ დასრულდა ესტონულ მოდელზე მუშაობა საკანონმდებლო ორგანოების მიერ და უკვე 2017 წლის 1 იანვარს კანონი შევიდოდა ძალაში. საგულისხმო ფაქტია, რომ კომპანიებს ცოტა დრო ჰქონდათ ახალ რეგულაციაზე გადასასვლელად.¹

ფაქტების გაანალიზების შედეგად ლოგიკური ხდება ესტონური მოდელის ძალაში შესვლისა და კომპანია „იმპექსფარმის“ მიერ აქციონერზე დივიდენდის გაცემის საკითხებზე კავშირს შორის მსჯელობა. 2016 წელს კომპანიის დამფუძნებელმა აილო დივიდენდი (1 760 000 ლარის ოდენობით) მის საკუთრებაში არსებული კომპანიისთვის ფინანსურად გაუმართლებელ საანგარიშგებო პერიოდში. შესაძლოა დივიდენდის განაწილება სწორედ ესტონურ მოდელს უკავშირდება, რომლის ინიცირებაც ამავე პერიოდში დასრულდა. კომპანიის ხელმძღვანელობის ქმედების მიზანი, შესაძლოა მომავალ წლებში დივიდენდის განაწილებისაგან თავის არიდება და მიღებული მოგების ბიზნესში რეინვესტირებაა, რაც ესტონური მოდელის მიხედვით არ იბეგრება მოგების გადასახადით.

აღნიშნული მოსაზრება იმ ფაქტითაც მყარდება, რომ 2017-2018 წლებში დამფუძნებელზე დივიდენდი აღარ განაწილებულა და მიღებული მოგება კომპანიის გაფართოებასა და ბიზნესის განვითარებას მოხმარდა. ფულადი სახსრების დეფიციტმა 2017 და გარკვეულწილად 2018 წლებშიც იჩინა თავი, თუმცა კომპანიამ 2017-2018 წლებში დივიდენდის განაწილებისათვის დადგენილი ნორმით 15% დაზოგა და საგადასახადო ხარჯის მაგივრად მისი ბიზნესში რეინვესტირება მოახდინა. რაც შეეხება გადაწყვეტილების სისწორეს, საკამათოა თუ რა იქნებოდა უკეთესი კომპანიისათვის, 264 000 ლარის დაზოგვა 2017-2018 წლებისთვის თუ დივიდენდის გაცემისაგან თავის არიდება 2016 წელს. ჩემი

¹ <http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlana-mcire-da-sashualo-biznesze/>

მოსაზრდებით კომპანიისთვის ფინანსური საფრთხის შექმნა და რისკის წინანსწარგანზრახულად წარმოშობა გაუმართლებელია.


2017 წელს საფინანსო საქმიანობიდან გადინებული მთლიანი თანხის აბსოლუტური უმრავლესობა (99%) უკავია სადეპოზიტო სერტიფიკატის შექმნას, რაც ფასიანი ქაღალდების იდენტური ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას გულისხმობს. კომპანია „იმპექსფარმმა“ 2017 წელს სადეპოზიტო სერტიფიკატის შესაძენად 3 000 000 ლარი გადაიხადა, თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ინფორმაცია არ არის ასახული, თუ როდის შეძლებს კომპანია თანხის უკან დაბრუნებას ან როგორია სხვა სახელშეკრულებო პირობები. ამავე წელს საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებში 2 700 000 ლარის დეფიციტი ფიქსირდება, თუმცა სულ წმინდა ფულადი ნაკადებში არ არის დეფიციტი და ამის მიზეზი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდაა. შპს „იმპექსფარმის“ ხემძღვანელობის აღნიშნული ქმედება გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა გამართლებულად ჩაითვალოს, რადგან მეტი ფულადი სახსრების მობილიზება მოხდება, რაც ბიზნესის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. მოკლევადიან პერიოდში კი დეფიციტური ნიშნების გამო ის ნაკლებად გამართლებულად მიიჩნევა.

მხოლოდ 2018 წელს შეძლო კომპანიამ დეფიციტისგან თავის არიდება, საფინანსო საქმიანობაში არ ფიქსირდება ფულის გადინება, შემოსული ფული კი 752 336 ლარის ოდენობით არის ასახული. ფინანსური თვალსაზრისით 2018 საანგარიშგებო წელი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული დანარჩენ საანალიზო წლებთან შედარებით.

შპს „იმპექსფარმის“ ფულის შემოდინების სტრუქტურა 2016-2018 წლებში

მაჩვენებლები	2016	2017	2018
	ხვ/წ.%-ად	ხვ/წ.%-ად	ხვ/წ.%-ად
საქონლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	97,78	98,26	98,44
მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	0,66	0,39	0,22
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	0,33	0,69	-
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	0,02	0,01	0,02
გაცემული სესხის ძირის დაბრუნება	0,30	0,13	-
გაცემული სესხებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	0,91	0,52	1,32
<u>სულ შემოსული ფული</u>	100	100	100

შპს „იმპექსფარმის“ სტრუქტურა ფულის შემოდინების მიხედვით ასახულია ცხრილში 2.2.3. 2016 და 2017 წლებში კომპანიაში ფულის შემოდინების მეტი გზა არსებობს 2018 წელთან შედარებით. მიუხედავად აღნიშნულისა, 2018 წელს შემოსული ფული ჯამურად მნიშვნელოვნად აღემატება იმავე მაჩვენებელს დანარჩენ წლებთან შედარებით, რაც რამდენიმე ფაქტით შეიძლება აიხსნას. ერთ-ერთი კომპანიის გაფართოება, მასშტაბის გაზრდა და საქმიანობის სტაბილური განვითარებაა, რითაც აიხსნება „საქონლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრების“, როგორც რიცხობრივი, ასევე პროცენტული ზრდა მთლიან შემოსულობებში. პროცენტულად შემოსულობების აბსოლუტური უმრავლესობა სამივე საანგარიშგებო წელს სწორედ „საქონლის მიწოდებიდან მიღებულ ფულად სახსრებს“ უკავია, რაც ლოგიკურია, რადგან ის კომპანიის ძირითადი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტი და შემოსავლის მიღების წყაროა. მეორე ადგილზე 2018 წელს „მომსახურების მიწოდებიდან მიღებულ ფულადი სახსრებია“, 2017 წელს „სხვა მიღებული ფულადი სახსრები“, ხოლო 2016 წელს „გაცემული სესხებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი“.




დიაგრამა 2.2.3. მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები

დიაგრამა 2.2.3.-ზე მოცემულია 2016-2018 წლებში ჯამურად მომსახურების გაწევიდან შემოსული თანხების განაწილება წლების მიხედვით. მომსახურების მიწოდებაში ფინანსურ არგარიშგებაში არსებული ჩანაწერების მიხედვით იგულისხმება უცხოელი მწარმოებლებისათვის მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევა. მომსახურების გაწევა, ისევე როგორც საქონლის მიწოდება, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. საქონლის მიწოდებიდან მიღებული თანხები წლიდან-წლამდე მნიშველოვნად იზრდება, რასაც ვერ ვიტყვით კომპანიის მიერ მომსახურების გაწევაზე. მთლიანი შემოსული თანხის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 2016 წელზე მოდის, 2017-2018 საანგარიშო პერიოდში კი მომსახურების გაწევიდან შემოსული თანხები უფრო და უფრო მცირდება. ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებში არ არის ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, თუ რამ გამოიწვია ძირითადი საქმიანობიდან ფულის შემოდინების ერთ-ერთი მუხლის ყოველწლიური შემცირება. გლობალურ ფაქტორებთან არის ის კავშირში, რადგან საკითხი ეხება უცხოელი მწარმოებლებისათვის მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევას, თუ შიდა ფაქტორებთან, ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლისთვის გაურკვეველია.

შპს „იმპექსფარმიდან“ ფულის გადინების სტრუქტურა 2016-2018 წლებში

მაჩვენებლები	2016	2017	2018
	ხვ/წ.%-ად	ხვ/წ.%-ად	ხვ/წ.%-ად
საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	77,32	78,47	71,40
მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	4,69	6,29	7,92
გაცემული ხელფასები	4,12	4,91	6,76
კომუნალური მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	0,38	0,49	-
ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრები	4,43	1,81	3,87
სხვა ხარჯებზე გადახდილი ფულადი სახსრები	2,22	0,87	8,96
უძრავი ქონების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	1,39	-	-
კაპიტალურ რემონტზე გადახდილი ფულადი სახსრები	0,17	0,07	0,06
ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	0,08	0,14	-
სხვა ძირითად საშუალებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	0,78	0,83	1,03
სესხის გაცემა	0,69	0,06	-
სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა	-	6,06	-
გაცემული დივიდენდი	3,72	-	-
<i>სულ გასული ფული</i>	100	100	100

2.2.4. ცხრილში წარმოდგენილია წლების მიხედვით შპს „იმპექსფარმიდან“ გადინებული ფულისა და მისი ექვივალენტების პროცენტული მაჩვენებელი ჯამურ გასულ თანხასთან მიმართებით. მასში პირველ ადგილს იკავებს საოპერაციო საქმიანობიდან გადინებული ფულადი სახსრები. სწორედ ამაში გამოიხატება პირდაპირი მეთოდის უპირატესობა, რომ ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს თუ როგორ განაწილდა ფულადი გასულობები მისი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში. შპს „იმპექსფარმს“ საოპერაციო საქმიანობაში უფიქსირდება ფულის გადინების ექვსი მუხლი.



დიაგრამა 2.2.4. საოპერაციო საქმიანობიდან გადინებული ფულის სტრუქტურა 2016-2018 წლებში

დიაგრამა 2.2.4.-დან ირკვევა, რომ მთლიანად საოპერაციო საქმიანობიდან გადინებული ფულის უმრავლესობა, თოთოეულ საანალიზო წელს, მოდის საქონლის მომწოდებლებზე გაცემულ ფულად სახსრებში. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს ფულისა და მისი ექვივალენტების გადინების მთავარ წყაროს კომპანია „იმპექსფარმის“ ჯამურად გასულ ფულშიც. გასული ფულის სტრუქტურული ანალიზისას ირკვევა, რომ მეორე და მესამე ადგილებს, როგორც მთლიან (ცხრილი 2.2.4), ასევე საოპერაციო საქმიანობიდან ფულის გასულობაში, იკავებს „მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები“ და „გაცემული ხელფასები“.

დიაგრამა 2.2.4-ის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საოპერაციო საქმიანობის მუხლში „საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები“ დანარჩენ წლებთან შედარებით ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებელი (85%) ფიქსირდება. ისევე, როგორც სხვა საანალიზო წლებში ნუმერაციით პირველ ადგილს საოპერაციო საქმიანობის ძირითადი მუხლები იკავებენ. მთლიან გასულობებში ასევე საგულისხმოა საფინანსო საქმიანობის, კონკრეტულად კი „სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენის“ პროცენტული მაჩვენებელი. 2016 წელს საოპერაციო საქმიანობის გარდა დიდია ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრების პროცენტული მაჩვენებლები. მოცემული მუხლი დიდწილად უკავშირდება გაცემული დივიდენდების პროცენტული მაჩვენებლის სიდიდეს. სწორედ


დივიდენდების სახით გაცემული ფულის გამო კომპანიას 2016 წელს მოუწია დიდი ოდენობით მოგების გადასახადის ბიუჯეტში შეტანა.

ცხრილი 2.2.5

შპს „იმპექსფარმის“ ფულის შემოდინების ცვლილება 2017-2018 წლებში 2016 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2017	2018
	%-ად	%-ად
საქონლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	114,54	127,57
მომსახურების მიწოებიდან მიღებული ფულადი სახსრები	67,28	41,78
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	237,46	-
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	63,29	160,81
გაცემული სესხის ძირის დაბრუნება	50,00	-
გაცემული სესხებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	64,98	185,08
<u>სულ შემოსული ფული</u>	113,98	126,72

ცხრილში 2.2.5 მოცემულია საანალიზო საწარმო „იმპექსფარმში“ შემოსული ფულის დინამიკა საბაზისო წელთან შედარებით. მისი მეშვეობით ფინანსური ანაგრიშგების გარე მომხმარებელს, ნათლად შეუძლია დაინახოს, თუ როგორ იცვლება წლიდან წლამდე საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის თითოეული მუხლი პროცენტულად. სტრუქტურის განხილვისას აღინიშნა, რომ 2016 და 2017 წლებში კომპანიაში ფულის შემოდინების მეტი გზა არსებობს 2018 წელთან შედარებით. მიუხედავად აღნიშნულისა 2017 წელს სულ შემოსული ფულის 114%-იანი, ხოლო 2018 წელს 127%-იანი ზრდა დაფიქსირდა საბაზისო წელთან შედარებით, რაც პოზიტიურ ფაქტად მიიჩნევა.



დიაგრამა 2.2.5 შემოსული ფულის ცვლილება 2017-2018 წლებში 2016 წელთან შედარებით

დიაგრამა 2.2.5-ზე ნათლად ჩანს ფულის შემოდინების თითოეული მუხლის ცვლილება საბაზისო წელთან შედარებით. საქონლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრების ზრდა ფიქსირდება 2017-2018 წელში, ის საოპერაციო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლია და მისი სტაბილური ზრდა პოზიტიურ ფაქტად აღიქმება. საოპერაციო საქმიანობას განეკუთნება მომსახურების მიწობიდან მიღებული ფულადი სახსრებიც, თუმცა საბაზისო წელთან შედარებით, როგორც 2017, ასევე 2018 წლებში მნიშვნელოვანი კლება ფიქსირდება.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები 2017 წელს შემცირებულია, 2018 წელს კი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საბაზისო წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ ძირითადი საშუალების რეალიზაცია არ არის კომპანიის ძირითადი საქმიანობა, ის საინვესტიციო საქმიანობის ნაწილია და შესაბამისად არ წარმოადგენს შპს „იმპექსფარმისთვის“ სტაბილურად ფულის შემოდინების საშუალებას. სასურველი იქნება, თუ კომპანია გაითვალისწინებს, რომ ის ამოწურვადი რესურსია და მომავალ საანგარიშგებო წლებში შეწყვეტს არსებობას, როგორც ფულის შემოდინების გზა. აღნიშნული კიდევ უფრო გაამწვავებს არსებულ დეფიციტს საინვესტიციო საქმიანობაში.

შპს „იმპექსფარმიდან“ გასული ფულის ცვლილება 2017-2018 წლებში 2016 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2017	2018
	%-ად	%-ად
საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	106,28	95,49
მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	140,41	174,56
გაცემული ხელფასები	124,85	169,63
კომუნალური მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	135,57	-
ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრები	42,79	90,51
სხვა ხარჯებზე გადახდილი ფულადი სახსრები	41,03	416,56
უძრავი ქონების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-	-
კაპიტალურ რემონტზე გადახდილი ფულადი სახსრები	44,53	34,63
ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	170,00	-
სხვა ძირითად საშუალებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	111,98	136,56
სესხის გაცემა	9,20	-
სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა	30000	-
გაცემული დივიდენდი	-	-
<i>სულ გასული ფული</i>	104,73	103,42

შპს „იმპექსფარმისგან“ გასული ფულის დინამიკური ანალიზიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ფულისა და მისი ექვივალენტების გადინება ჯამურად 5%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2018 წელს 3%-იანი ზრდა ფიქსირდება. აღნიშნული ფაქტი ნამდვილად პიზიტიურია, რადგან მთლიანობაში კომპანიის ფულადი გასულობები მკვეთრად არ იზრდება, შემოსული ფულის მაჩვენებელი, კი წლიდან წლამდე სტაბილური ზრდით ხასიათდება.

საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრებში ცხრილი 2.2.6-ის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება. 2017-2018 წლებში იზრდება მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრების პროცენტული მაჩვენებელი. მსგავსი პროცენტულობით იზრდება გაცემული ხელფასებიც, 2018 წელს საბაზისო წელთან შედარებით 170%-იანი, ხოლო 2017 წელს 140%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ფინანსური ანგარიშგების გაცნობისას, ირკვევა რომ გაცემული ხელფასების გაზრდის პროპორციულად,

ასევე გზრდილია თანამშრომლების რაოდენობაც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ყოველწლიურად შპს „იმპექსფარმის“ განვითარებასა და ბიზნესის მასშტაბის ზრდაზე.

როგორც სტრუქტურული ანალიზისას გაირკვა 2018 წელს გაუქმებულია კომპანიიდან ფულის გასვლის რამდენიმე მუხლი, პარალელურად ცნობილი ხდება, რომ ფულის გასვლის არსებულ მუხლებში არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი ზრდა. სწორედ აღნიშნულმა ფაქტებმა განაპირობა შედეგი, რომლის მიხედვითაც 2018 წელს გასული ფულის მხოლოდ 3%-იანი ზრდა გვხვდება. სამ საანალიზო წელს შორის 2017 აღმოჩნდა ყველაზე ხარჯიანი, რადგან სწორედ ამ წელს ფიქსირდება ფულის და მისი ექვივალენტების გასულობების მაღალი პროცენტული ზრდა.

შპს „იმპექსფარმის“ სტრუქტურისა და დინამიკის განხილვის შემდეგ შეისწავლება საწარმოს კომბინირებული და ინდივისუალური კოეფიციენტები, რათა განხორციელდეს სრულყოფილი ანალიზი საწარმოს სამი საანგარიშგებო წლისთვის. გამოთვლილ იქნა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე დაფუძნებული ძირითადი კოეფიციენტები.

ცხრილი 2.2.7.

შპს „იმპექსფარმის“ ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტები 2016-2018 წლებში

კოეფიციენტები	2016	2017	2018
ფულის საერთო ეფექტიანობა	(0,05)	0,03	0,16
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	0,01	0,10	0,14
საინვესტიციო სამიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	(144,19)	(102,18)	(40,76)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა	(2,85)	(8,13)	1

ეფექტიანობის კოეფიციენტი განისაზღვრება წმინდა ფულადი ნაკადისა და ფულის გადინების ფარდობით. 2018 წელს დაფიქსირდა ფულის ეფექტიანობა 0,16, ხოლო 2017 წელს 0,03. ორივე მაჩვენებლის მიხედვით ფული არაეფექტიანად ითვლება, რადგან გასული

ფულის ოდენობა აღემატება წმინდა ფულად ნაკადებს. სამი საანალიზო წლისათვის ყველაზე არაეფექტური ფული 2016 წელს დაფიქსირდა, რისი გამომწვევი მიზეზიც ამავე წელს სულ წმინდა ფულადი ნაკადების დეფიციტია. აღსანიშნავია, რომ ეფექტიანობა წლიდან წლამდე მცირედით, თუმცა მაინ უმჯობესდება. სასურველი იქნება თუ მომავალ წლებში გაიზრდება წმინდა ფულადი ნაკადები, დეფიციტური ნიშნები კი აღარ იჩენს თავს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

მთლიანი ფულადი ეფექტიანობის განხილვის შემდეგ საინტერესოა, როგორი ეფექტიანობით ხასიათდება ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტები. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ეფექტიანობა ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვა კომპონენტებთან შედარებით ძირითადი საქმიანობის პრინციპის გამო. 2016 წელს ყველაზე მცირე მაჩვენებელი ფიქსირდება და მცირედი ზრდადობის ტენდენცია იკვეთება მომდევნო წლებში. 2018 წლის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფულის ეფექტიანობის დამაკმაყოფილებელ ოდენობას. შესაბამისად სამომავლოდ მისი გაუმჯობესება კომპანიის ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

საინვესტიციო საქმიანობაში კომპანია „იმპექსფარმს“ სამივე საანალიზო წელს უფიქსირდება დეფიციტი, შესაბამისად ფულის ეფექტიანობის არაორდინალური და ნეგატიური კოეფიციენტებია წარმოდგენილი. ისევე როგორც დანარჩენი ეფექტიანობის მაჩვენებლებების განხილვისას, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების ეფექტიანობაში, ყველაზე ცუდი მდგომარეობა 2016 წელსაა და მომავალ წლებში ფინანსური მდგომარეობა მცირედით უმჯობესდება. მომავალი წლებისთვის სასურველია, რომ საინვესტიციო საქმიანობაში არ ფიქსირდებოდეს ფულადი დეფიციტი, გაიზარდოს შემოსავლის ოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს ფულის ეფექტიანობაზე.

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები ეფექტიანია 2018 წელს. მონაცემი პოზიტიურია, რადგან მოცემულ საანგარიშგებო წელს საფინანსო

საქმიანობაში არ დაფიქსირებულა ფულადი დეფიციტი, შემოსული ფულის ოდენობა კი აღემატებოდა გასულს. 2018 წლის მაჩვენებელი ყველა განხილულ ეფექტიანობის მაჩვენებელს შორის უკეთესია, რაც პოზიტიური ფაქტია, თუმცა არა იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც საოპერაციო საქმიანობის ფულის ეფექტიანობა ამ საერთო ეფექტიანობა იქნებოდა. რაც შეეხება 2016-2017 წლებს მდგომარეობას, ის ნეგატიურად ფასდება, სახეზეა ფულადი დეფიციტი და მკაფიო ფულის არაეფექტიანობა.

ცხრილი 2.2.8.

შპს „იმპექსფარმის“ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები 2016-2018 წლებში

კოეფიციენტები	2016	2017	2018
წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი	(0,26)	(9,52)	14,99
საერთო გადახდისუნარიანობა	1	1,1	1,2
ბივერის გადახდისუნარიანობის	1,12	1,4	1,61
აბსოლუტური ლიკვიდურობა	(1,33)	0,50	1,59
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,1	2	2,1

ინვესტიციების დაფარვის ხარისხი გვიჩვენებს, კომპანია „იმპექსფარმის“ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები, რამდენად ფარავს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებს. სამივე მაჩვენებელში დაფიქსირებულია უარყოფითი ნიშანი, რაც გამოხატავს დეფიციტს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ფულად ნაკადებში. 2018 წელს ყველაზე უკეთ იფარება საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადებით.

საერთო გადახდისუნარიანობა, ნეგატიური კოეფიციენტებით არის წარმოდგენილი. ცხრილი 2.2.8-დან ირკვევა, რომ 2016-2018 წლებში არსებობს გადახდისუნარიანობის ზრდის ტენდენცია. ბივერის გადახდისუნარიანობა კი დაფუძნებულია განსხვავებულ კრიტერიუმებზე საერთო გადახდისუნარიანობასთან შედარებით. 0,17 - 0,4 არის აღიარებული, როგორც საშუალოდ შეფასებული გადახდისუნარიანობა. ის მოიცავს შემდეგ

ელემენტებს: წმინდა მოგება, ამორტიზაცია, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ნაღდი ფულით შეძენილიყო მრავალი სახის ძირითადი საშუალებები, მათ შორის ავტოსატრანსპორტო და უძრავი ქონებაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი აქტივები, ხოლო ვალდებულებები მცირეა. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილ ვალდებულებებში არ გვხვდება გრძელვადიანი ვარდებულებები. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში კი წმინდა მოგება სტაბილურია და წლიდან წლამდე მნიშვნელოვანი განსხვავება არ იკვეთება.

სწორედ აღნიშნულით აიხსნება ფაქტი, რომ ბივერის გადახდისუნარიანობის მიხედვით 2016 წელს უკეთესი მაჩვენებელია დაფიქსირებული, ვიდრე ამავე წელს საერთო გადახდისუნარიანობა. 2016 წელს ბივერის მიხედვით გადახდისუნარიანობის რისკი დაბალია, ამის მიზეზი ისაა, რომ მოცემულ საანგარიშგებო წელს დანარჩენ წლებთან მიმართებაში მნიშვნელოვნად მცირეა მოკლევადიანი ვალდებულებების ოდენობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

პირველ საანგარიშგებო წელს კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტი უარყოფითი ნიშნითაა წარმოდგენილი, რისი მიზეზიც არის ჯამურად წმინდა ფულად ნაკადებში დეფიციტი. მომავალ პერიოდებში პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება. 2018 წელს ყველაზე მაღალი და ამავედროულად დადებითი ლიკვიდობის მაჩვენებელია წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შპს „იმპექსფარმს“ შეუძლია მის ხელთ არსებული ფულადი სახსრებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

ცხრილი 2.2.9.

შპს „იმპექსფარმის“ რეინვესტირებისა და რენტაბელობის კოეფიციენტები 2016-2018 წლებში


კოეფიციენტები	2016	2017	2018
რეინვესტირება	(2,6)	4,4	37,9
დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა	(1,54)	2,88	0,60

რეინვესტირების კოეფიციენტი ასახავს რამდენადად ხდება სულ წმინდა ფულადი ნაკადების რეინვესტირება გრძელვადიან აქტივებში პერიოდის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მოცემული კოეფიციენტის გამოსათვლელად ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი დივიდენდების ოდენობაა, შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიხედვით დივიდენდები გაიცა მხოლოდ 2016 წელს. ამავე წლის რეინვესტირების კოეფიციენტი უარყოფითია, რაც დივიდენდის გაცემასთან ერთად გამოწვეულია, იმით, რომ გრძელვადიანი აქტივების ზრდა 2016 წელს 7-ჯერ მეტია 2018, ხოლო 4-ჯერ მეტია 2017 წელთან შედარებით. 2018 წელს მაჩვენებელი მაღალია, რაც იმითაა გამოწვეული, რომ არ გაცემულა დივიდენდი და ამავდროულად გრძელვადიანი აქტივების მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი.

დადებითი წმინდა ფულადი ნაკადების რენტაბელობის, მომგებიანობის, ყველაზე პოზიტიური მაჩვენებელი 2017 წელსაა დაფიქსირებული. 2016 წელს კი ყველაზე ნეგატიური მაჩვენებელი ფიქსირდება, რადგან მოგების მაჩვენებლის სიდიდის მიუხედავად წმინდა ფულად დაკადებში არსებობს დეფიციტი.


2.3. სს „გეფას“ და შპს „იმპექსფარმის“ ფულადი უსაფრთხოების შედარებითი დახასიათება

საკვლევი მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანებიდან ერთ-ერთია საანალიზო ფარმაცევტული კომპანიების ფულადი უსაფრთხოების შედარებითი დახასიათება და დასკვნების წარმოდგენა. სს „გეფა“ და შპს „იმპექსფარმის“ შესახებ ინდივიდუალური მიგნებების ჩამოყალიბების შემდგომ სასურველია, ერთ სფეროში არსებული ორი კომპანიის შედეგების შედარება, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვა.



დიაგრამა 2.3.1 კომპანიებში შემოსული ფულის სტრუქტურა 2017-2018 წლებში

ფულის შემოდინების სტრუქტურის განხილვისას ირკვევა, რომ შპს „იმპექსფარმს“ მთლიან შემოსულ ფულში 2017-2018 წელში აბსოლუტური უმრავლესობა უფიქსირდება საოპერაციო საქმიანობიდან, კერძოდ კი გაყიდვებიდან მიღებული შემოსულობების სახით. სს „გეფა“-ს ფულის შემოდინების რამდენიმე წყარო უფიქსირდება. მათ შორისაა აღებული სესხები და შვილობილი კომპანიიდან მიღებული თანხები, პროცენტულად შემოსული თანხების უმრავლესობა საოპერაციო საქმიანობიდანაა.




დიაგრამა 2.3.2. კომპანიებიდან გასული ფულის სტრუქტურა 2017-2018 წლებში

კომპანიებიდან გასული ფულის სტრუქტურის შედარებისას ირკვევა, რომ პროცენტულად ორივე შემთხვევაში გასული ფულის უმრავლესობა საოპერაციო საქმიანობისკენაა მიმართული. განსხვავება ძირითადად გამოიხატება შპს „იმპექსფარმის“ მიერ მომსახურებაზე გადახდილ ფულად თანხებში და სს „გევას“ მიერ შვილობილი კომპანიებისთვის გადახდილ თანხებში, რომელიც არ ფიქსირდება შპს „იმპექსფარმის“ შემთხვევაში. განსხვავება ასევე გამოიხატება აქციონერებზე გადახდილ დივიდენდებში, 2017-2018 წლებში 2-4% ფიქსირდება სს „გევას“ შემთხვევაში. შპს „იმპექსფარმს“ ამ საანალიზო წლებში დიდი დივიდენდი არ გაუნაწილებია, თუმცა გასცა 2016 წელს, რთული და


კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად რაც არამინზობრივ ფულის გადინებად ითვლება, სავარაუდო მიზეზად კი ნაშრომში რამდენიმე აზრი გაიმოითქვა.

ლიტერატურული ჩარჩოს გაცნობისას ფულადი ნაკადების ანგარიშგების მაჩვენებლები კლასიფიცირდა ოთხ მთავარ ჯგუფად. ესენია: ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ეფექტიანობა და რენტაბელობა.




დიაგრამა 2.3.3. საწარმოების აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2017-2018 წლებში

ლიკვიდურობა (Liquidity) - სს „გეფას“ ლიკვიდურობა ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიხედვით არ არის მაღალი, თუმცა დინამიკაში ზრდადია. კვლევების თანახმად დადგენილია, რომ აბსოლუტური ლიკვიდურობის მაჩვენებელი სასურველია აღემატებოდეს 20%-ს, 2017 წელს მისი კოეფიციენტი არ არის დამაკმაყოფილებელი. შპს „იმპექსფარმის“ ლიკვიდურობა 2016 წელს ურაცოფითი ნიშნითაა წარმოდგენილი, რაც დეფიციტითაა გამოწვეული, 2017 წელს შედარებით გაუმჯობესდა და მიუახლოვდა სს „გეფას“ მაჩვენებელს ამავე პერიოდში, 2018 წელს კი ლიკვიდურობის მაღალი მაჩვენებელი უფიქსირდება კომპანიას, ანუ აქვს უნარი მის ხელთ არსებული ფულით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. 2018 წლის საერთო ლიკვიდურობის მკვეთრად მაღალი (159%) მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ შპს „იმპექსფარმს“ ვალდებულებები არ გაზრდია წინა წლებთან მიმართებაში, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული კი პოზიტიურ კორელაციაშია წლების ზრდასთან მიმართებაში.




დიაგრამა 2.3.4 საწარმოების საერთო გადახდისუნარიანობა 2017-2018 წლებში

გადახდისუნარიანობა (Solvency) - ფარმაცევტული კომპანიები არადადამაკმაყოფილებელი გადახდისუნარიანობით ხასიათდებიან. სასურველია ის მერყეობდეს 2-დან 3-მდე ინტერვალში. სს „გეფას“ არ შეუძლია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკლებით ნაკლები დაბრკოლებით გადაიხადოს გადასახადები, ხოლო შპს „იმპექსფარმი“ შედარებით მაღალი გადახდისუნარიანობით ხასიათდება.




დიაგრამა 2.3.5. საწარმოების ფულის ეფექტიანობა 2017-2018 წლებში

ეფექტიანობა (Efficiency) - ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტები სს „გეფასთვის“ დაბალია ორივე საანალიზო წელს. ასევე დაბალია ფულის ეფექტიანობა შპს „იმპექსფარმისთვის“ და დინამიკაში მცირედით უმჯობესდება ის.




დიაგრამა 2.3.6 საწარმოების დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა 2017-2018 წლებში

რენტაბელობა (Profitability) - სს „გეფას“ მდგომარეობა დინამიკაში უარესდება. მას უფიქსირდება მოგების მაჩვენებელი, თუმცა წმინდა ფულადი ნაკადები ჯამურად ბევრად დაბალია. შპს „იმპექსფარმისთვის“ რენტაბელობის პოზიტიური მაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა 2016-2017 წლებთან შედარებით, რადგან აღნიშნულ საანალიზო წელს დაფიქსირებულია მოგების მაჩვენებლის შესაბამისი წმინდა ფულადი ნაკადების მოცულობა, 2016 წელს კი დაფიქსირებულია დეფიციტი ჯამურად წმინდა ფულად დანაკადებში.



დიაგრამა 2.3.7. საწარმოების ფულის ბრუნვის რიცხვი 2017-2018 წლებში

ფულის ბრუნვის რიცხვი და უსაფრთხოების ინტერვალის განსაზღვრა ერთ-ერთი პრიორიტეტული კოეფიციენტებია. კომპანიების მაგალითზე ირკვევა, რომ სს „გეფას“ ფულის ბრუნვის რიცხვი 2017 წელს 4-ჯერ, ხოლო 2018 წელს - 5-ჯერ აჭარბებს შპს „იმპექსფარმის იმავე მაჩვენებლს, რაც აიხსნება სს გეფას მასშტაბის სიდიდით. ნეგატიურ მოვლენად აღიქმება ის ფაქტი, რომ ორივე საწარმოს შემთხვევაში 2018 წელს მაჩვენებელი შემცირებულია 2017 წელთან შედარებით.



დიაგრამა 2.3.8. საწარმოების ფულის უსაფრთხოების ინტერვალი 2017-2018 წლებში
 ფულის უსაფრთხოების ინტერვალის ანალიზისას დგინდება, რომ შპს „იმპექსფარმს“ ორივე საანალიზო წელს 5-ჯერ მაღალი ინტერვალი უფიქსირდება სს „გეფასთან“ შედარებით. მოცემული ფაქტი აიხსნება იმით, რომ შპს „იმპექსფარმის“ დღიური ხარჯების ოდენობა მცირეა, ფულის ნაშთი კი წლიდან წლამდე იზრდება.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში: „ფულადი ნაკადების ანგარიშების ანალიზის აქტუალური საკითხები სს „გეფას“ და შპს „იმპექსფარმის“ მაგალითზე შეფასდა ფულადი ნაკადების ანგარიშების როლი და მნიშვნელობა საწარმოს ხელმძღვანელობისთვის, კომპანიაში დასაქმებულთათვის და ფინანსური ანგარიშების გარე მომხმარებელთათვის. სწორედ ფულის მეშვეობით ფარავენ კომპანიები დასაქმებულთა ხელფასებს, კრედიტორულ დავალიანებებს, საგადასახადო და სხვა ვალდებულებებს. ფულის მნიშვნელობიდან გამომდინარე ცალსახაა ფულადი ნაკადების ანგარიშების როლიც, მისი ანალიზით დგინდება ფულის შემოდინებისა და გადინების გზები, დეფიციტური არეები საქმიანობების მიხედვით, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა და სხვ.

საკვლევ ობიექტებს წარმოადგენენ სს „გეფა“ და შპს „იმპექსფარმი“, კვლევის საგნად კი განისაზღვრა მათი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2016-2018 წლებისთვის. ფულადი ნაკადების მაჩვენებელთა სისიტემა მოიცავს კოეფიციენტთა ოთხი ძირითადი კატეგორიას. ესენია: ლიკვიდურობა (Liquidity); გადახდისუნარიანობა (Solvency); ეფექტურობა (Efficiency) და რენტაბელობა (Profitability). თითოეული მათგანი განსხვავებულად წარმოაჩენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას კომპანიებისათვის და მომავალი საანგარიშგებო წლებისთვის ხარვეზული არეების გამოსწორების წინაპირობას წარმოადგენს.

სს „გეფა“ და შპს „იმპექსფარმის“ ვეტრიკალური და ჰორიზონტალური ანალიზით ირკვევა, რომ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები ყოველწლიურად იზრდება. საანგარიშგებო პერიოდების, საინვესტიციო საქმიანობის აბსოლიტურ უმრავლესობაში კი დაფიქსირებული აქვთ ფულადი სახსრების დეფიციტი. აღნიშულის მიზეზი კომპანიების მასშტაბის ზრდა, განვითარება ითვლება. დაფიქსირებულია, როგორც უძრავი ქონების შეძენა და კაპიტალური რემონტი, ასევე

შვილობილი საწარმოს, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვა.

დეფიციტი ასევე ფიქსირდება საფინანსო საქმიანობაში, რაც დიდწილად კავშირშია დივიდენდის აქციონერებზე განაწილებასთან. სს „გეფას“ შემხთვევაში 29 მილიონი ლარის დივიდენდი განაწილდა, თუმცა მას არ გამოუწვევია იმ ხასიათის ფინანსური რისკები, რის წინაშეც სს „იმპექსფარმი“ დადგა 2 მილიონი ლარი დივიდენდის განაწილებისას.

მაჩვენებელთა სისიტემის ოთხი ძირითადი კატეგორის ანალიზიდან ირკვევა, რომ სს „გეფას“ უფიქსირდება დამაკმაყოფილებელი ხოლო შპს „იმპექსფარმს“ მცირედით მაღალი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რაც მიანიშნებს, რომ აქვთ საშუალება დაფარონ ვალდებულებები მათ ხელთ არსებული ფულადი სახსრებით. ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტი ორივე ფარმაცევტული კომპანიისათვის დაბალია, რაც ნეგატიური მოვლენაა. ლიკვიდურობის კოეფიციენტი შპს „იმპექსფარმისთვის“ 5-ჯერ აღემატება სს „გეფას“ იმავე მაჩვენებლს. მოცემული მიგნებები იძლევა საშუალებას დადგინდეს, სს „გეფასს“ და შპს „იმპექსფარმის“ ფულადი სახსრების ანგარიშგების ძირითადი მახასიათებლები. საანალიზო ფარმაცევტული კომპანიების ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს საკუთარი ბიზნესის განვითარებაზე, თუმცა აღინიშნა მრავალი ხარვეზი, რომელთა გამოსწორებაც მნიშვნელოვანია. ბიზნეს საქმიანობისას რისკები გარკვეულწილად მისაღებია, თუმცა აღნიშნულით ფინანსური საფრთხისა და ფუნქციონირებადობის საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ მიიჩნევა გამართლებულად.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- ორივე კომპანიისთვის სასურველია, სამომავლოდ ამაღლდეს ფულის გადინების კონტროლი, კერძოდ არ გაიცეს დივიდენდი იმ ოდენობით, რაც გამოიწვევს ფულად დეფიციტს;
- ამაღლდეს კომპანიების გადახდისუნარიანობა, პერიოდის განმავლობაში გადინებული ფულის შემცირების საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 1. 2009. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 7. (2016). ფულადი ნაკადების ანგარიშგება.
3. კვატაშიძე, ნ., ხორავა, ა., და გოგრიჭიანი, ზ. (2011). ფინანსური ანგარიშგება. თბილისი: მერიდიანი.
4. ლილუაშვილი, გ., და დოლიაშვილი, თ. 2015. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი: განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი.
5. ლომიძე, ნ. 2015. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სრულყოფის მიმართულებები ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. სრესელი, ნ., ჯიქია, მ., და სრესელი, რ. (2016). ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის ძირითადი ასპექტები.
7. საბაური, ლ., კვატაშიძე, ნ., სრესელი, ნ. (2017). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სრულყოფის გზები მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში.
8. სს გეფა. (2018). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.
9. შპს იმპექსფარმი. (2017). ფინანსური ანგარიშგება.
10. შპს იმპექსფარმი. (2018). ფინანსური ანგარიშგება.
11. ჩეჩელაშვილი, ა. (2013). ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

12. ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანალიზი. (მე-3 გამ.). თბილისი: მერანი.
13. ჭილაძე, ი., მაისურაძე, მ., ვარდიაშვილი, მ., ლოზმანაშვილი ლ., და მოდებაძე, თ. (2019). ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში.
14. ხარაბაძე, ე. (2018). ფინანსური აღრიცხვა. თბილისი: უნივერსალი.
15. ხარაბაძე, ე. (2018). ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი: უნივერსალი.
16. Amuzu, M. S. (2010). Cash flow ratio as a measure of performance of listed companies in emerging economies: The Ghana example. Unpublished PhD dissertation. Retrieved from: <http://stclements>.
17. Arnold G., (2005). The handbook of Corporate Finance. L. Financial Times Prentice Hall
18. Association of Chartered Certified Accountants. (2019). Financial Accounting (FFA/FA). London: BPP Learning Media.
19. Beaver, W., (1996). Financial Ratios As Predictors of Failure. University of Chicago: Wiley on behalf of Accounting Research Center, Booth School of Business.
20. Cummins, J. D., Grace, M. F., & Phillips, R. D. (1999). Regulatory solvency prediction in property-liability insurance: Risk-based capital, audit ratios, and cash flow simulation. *Journal of Risk and Insurance*.
21. Edward, K., & Gombola, J. (2014). Cash Flow and Classification Patterns of Financial Ratios. American Accounting Assosiation. Retrieved from: <http://www.jstor.org/stable/246645>.
22. Fawzi, N., Kamaluddin, A., & Sanusi, Z. (2015). Monitoring Distressed Companies through Cash Flow Analysis. Wadham College, Oxford, United Kingdom.
23. Giacomino, D. E., & Mielke, D. E. (1993). Cash flows: Another approach to ratio analysis. *Journal of Accountancy*.
24. Jury, T. (2012). Cash Flow Analysis and Forecasting. A John Wiley & Sons Publication.

25. Kwok, H., (2002). The effect of cash flow statement format on lenders' decisions. Lingnan University, Department of Accounting and Finance, Tuen Mun, Hong Kong, People's Republic of China.
26. Mills, J., & Yamamura, J. H. (1998). The power of cash flow ratios. *Journal of Accountancy*.
27. Ryu, K., & Jang, S. (2004). Performance Measurement Through Cash Flow Ratios and Traditional Ratios: A Comparison of Commercial and Casino Hotel Companies. *The Professional Refereed Journal of the International Association of Hospitality Financial Management Educators*.
28. Sharan. M., (2008). *Fundamentals of Financial Management*. India: Pearson Education.
29. Tracy J., (2009). *How to Read a Financial Report: Wringing Vital Signs Out of the Numbers*. (7 edition).

დანართი

დანართი №1

სს „გეფას“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ათას ლარში)	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	424 535 000	501 219 000
შემენილ პროდუქტებში გადახდილი თვითღირებულება	-340 998 000	-389 368 000
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-38 078 000	-42 380 000
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-31 154 000	-36 392 000
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 750 000	1 533 000
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	-966 000	-1 123 000
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	15 089 000	33 489 000
გადახდილი მოგების გადასახადი	-462 000	-627 000
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	14 627 000	32 862 000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	-28 317 000	-12 926 000
ძირითადი საშუალებების შეძენა	-7 929 000	-6 375 000
საკრედიტო დაწესებულებებისაგან მისაღები თანხების განთავსება	0	-900 000
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	0	70 000
არამატერიალური აქტივების შეძენა	-1 980 000	-787 000
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	45 000	32 000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-38 181 000	-20 886 000

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
აღებული სესხები	66 955 000	196 150 000
ნასესხები სახსრების დაფარვა	-62 525 000	-182 362 000
შვილობილი კომპანიების შესყიდვისთვის მიღებული თანხები	32 501 000	12 926 000
აქციონერებზე გადახდილი დივიდენდები	-3 500 000	-29 700 000
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	-2 298 000	-2 668 000
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	31 133 000	-5 654 000
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-121 000	-273 000
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	7 458 000	6 049 000
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	2 498 000	9 956 000
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	9 956 000	16 005 000

დანართი №2

შპს „იმპექსფარმის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საქონლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	43 901 533	50 283 506	56 003 285
მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	298 327	200 722	124 645
სხვა მიღებული ფულადი სახსრები	148 234	351 992	-
საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-36 560 524	-38 857 635	-34 912 393
მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-2 219 884	-3 116 829	-3 875 100
გაცემული ხელფასები	-1 949 131	-2 433 584	-3 306 312

კომუნალური მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-177 865	-241 136	-
ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრები	-2 092 988	-895 617	-1 894 343
სხვა ხარჯებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-1 051 534	-431 409	-4 380 264
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	298 184	4 862 027	7 759 518
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	7 900	5 000	12 704
უძრავი ქონების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-658 761	-	-
კაპიტალურ რემონტზე გადახდილი ფულადი სახსრები	-80 148	-35 687	-27 752
ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-40 000	-68 000	-
სხვა ძირითად საშუალებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-368 120	-412 214	-502 720
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-1 139 129	-510 901	-517 768
გაცემული სესხის ძირის დაბრუნება	135 273	67 642	-
გაცემული სესხებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	406 498	264 132	752 336
სესხის გაცემა	-325 923	-30 000	-
სადეპოზიტო სერტიფიკატის შექმნა	-	-3 000 000	-
გაცემული დივიდენდი	-1 759 050	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1543202	-2698226	752336
სავალუტო კურსის ეფექტი	1 708	-16 701	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-2 384 454	1 634 181	7 931 294
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4 610 805	2 226 352	3 860 533
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2 226 351	3 860 533	11 791 827